ყოველი წუთი ძვირფასია, მეჩაიეებო!

პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

კომუნისტი

საქართველოს კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტისა და საქართველოს სსრ მშრომელთა დეპუტატების საბჭოების ორგანო

КОМУНИСТИ — ОРГАН ЦК КП ГРУЗИИ и СОВЕТОВ ДЕПУТАТОВ ТРУДЯЩИХСЯ ГРУЗИНСКОЙ ССР

გამოცემის 43-ე წელი | № 187 (12395) | პარასკევი, 10 აგვისტო, 1962 წ. | ფასი 2 კაპ.

საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტი და საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭო მოუწოდებენ

თვითთეულ მეჩაიეს, კოლმეურნეობების, საბჭოთა მეურნეობების თვითთეულ მშრომელს

ყოველი ღონისძიებით გაადიდონ თავიანთი შრომითი აქტივობა, მთელი ძალღონე და ენერგია მოახმარონ იმას, რომ უთუოდ უზრუნველყონ აგვისტოს გეგმის შესრულება.

მეჩაიეებო! ახალი, სასახელო შრომით ვუპასუხოთ საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტისა და საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს მიმართვას!

გუშინ ერთ საწარმოო სამმართველოში

ნაკლოვანებათა აღმოფხვრის გზით

ცხაკაიას ტერიტორიული საწარმოო სამმართველოს უფროსთან დ. ბალათურიასთან

ცხაკაიას ტერიტორიული საწარმოო სამმართველოს კოლმეურნეობებსა და საბჭოთა მეურნეობებში, — განცხადა „კომუნისტის“ კორესპონდენტთან საუბარში სამმართველოს უფროსმა დ. ბალათურიამ, — გულდასმით გაეცნენ საქართველოს კპ ცენტრალური კომიტეტისა და საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს მიმართვას მეჩაიეებისადმი, დასახეს ქმედითი ღონისძიებები იმისათვის, რომ ჩაის ფოთლის კრეფის გადამწყვეტი თვის — აგვისტოს ყოველ დღე და საათი მაქსიმალურად იქნას გამოყენებული. ჩვენ ერთხელ კიდევ გადავხედეთ საქმეს, და აღმოჩნდა, რომ მუშაობაში ნაკლოვანებები გვქონდა. აგვისტოს მეორე დეკადაში ხარვეზებს ვასწორებთ.

სამმართველოს მეჩაიეებში შესამჩნევად გაძლიერდა შრომითი აქტივობა და ჩაის ფოთლის კრეფის ტემპი. ამას მოწმობს ის, რომ 7 აგვისტოს საწარმოო სამმართველოში მოიკრიფა 126 ტონა ჩაის ნედლეული, 8 აგვისტოს — 143 ტონა, ხოლო გუშინ უფრო მეტი.

გუშინ საწარმოო სამმართველოში გავეცანით ჩაის კრეფის მიმდინარეობის შედეგებს. სულ მოკრეფილია 14.740 ტონა „მწვანე ოქრო“ ნაცვლად ხელუური გეგმით გათვალისწინებული 17.132 ტონისა. ეს წლიური გეგმის 86 პროცენტს შეადგენს. ვალდებულება კი 17.950 ტონის მოკრეფას ითვალისწინებს. მიღებული ზომების შედეგად ამ დღეებში კრეფის ტემპი უფრო იმატებს, ყოველდღიურად მოიკრიფება 170–200 ტონა ჩაის ფოთოლი. ეს იმის გარანტიას იძლევა, რომ წლიური გეგმა შეესრულოთ 15 აგვისტოსათვის, ხოლო ვალდებულება 1 სექტემბრისათვის.



ეს დღეები კლანტაციებში

მე, როგორც აგრონომს, დიდ მოვალეობას მაკისრებს პარტიისა და მთავრობის მიმართვა. როგორც ამ მიმართვაშია აღნიშნული, ჩაის კრეფის ტემპი ჯერ კიდევ დაბალია. ეს მეტსაკლებად ჩემი ზონის კოლმეურნეობებშიც იგრძნობა. ფაქტი — შემოსული ფოთოლი მთლიანად რომ აგვეღო, მეტი წარმატება გვექნებოდა.

ჩემი მომსახურების ზონის შვიდსავე კოლმეურნეობაში მოკრეფილია 1.587 ტონა ჩაის ფოთოლი ნაცვლად წლიური გეგმით გათვალისწინებული 1.813 ტონისა. ახლა ყველა აგროტექნიკურ ღონისძიებას ვახორციელებთ იმისთვის, რომ დავიცვათ კრეფის ხარისხი, არ დავკარგოთ არც ეოთი კილოგრამი ჩაის ნედლეული. კოლმეურნეობებმა ვალდებულება იკისრეს წლიური გეგმა 25 აგვისტომდე შეასრულონ და სეზონში გეგმის გადამეტებით მოკრიფონ 120 ტონა „მწვანე ოქრო“. ამ დღეებში კრეფის ტემპი უფრო გაძლიერდა. თუ წინადღეებში დღიურად 12–13 ტონა იკრიფებოდა, ახლა კრეფთ 14–16 ტონას. ბრიგადებსა და რგოლებში ყველგან შემოქმედებითი შრომაა გაჩაღებული. ჩვენ, სპეციალისტები, ადგილზე ვეძყოფებით და პრაქტიკულ დახმარებას ვუწევთ კოლმეურნეობებს ნაკისრი ვალდებულებების სასახელოდ შესრულებაში.

მ. მიმინოშვილი,
ცხაკაიას საწარმოო სამმართველოს აგრონომი, ინსპექტორ-ორგანიზატორი.

პირობას გავაწყალდებთ

არის 14.300 კილოგრამი — იძენეგა 18.000 კილოგრამი

სულ რამოდენიმე კვირა, და ჩაის ნედლეულის კრეფის სეზონი დამთავრდება. მე პირადად დიდი ხანია შეკასრულე ფოთლის კრეფის წლიური გეგმა. უკვე მოკრიფე 14.300 კილოგრამი „მწვანე ოქრო“. წლიურ გეგმას 10.800 კილოგრამით გადავაჭარბე.

გულდასმით გავეცანი საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტისა და საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს მიმართვას საქართველოს მეჩაიეობის კოლმეურნეობათა კოლმეურნეების, საბჭოთა მეურნეობების მუშაკნის, ყველა მეჩაიის მიმართ. ამ მიმართვის პასუხად პირობას ვდებ 5 სექტემბრამდე კიდევ მოკრიფოთ 3.700 კილოგრამი ჩაის ნედლეული, სულ სეზონში 0,7 ჰექტარზე მივიღო 18 ათასი კილოგრამი „მწვანე ოქრო“.

ყოველდღიურად ვაძლიერებ ფოთლის კრეფის ტემპს. 7 აგვისტოს 100 კილოგრამი ჩაის ფოთოლი მოვკრიფე, 8 აგვისტოს — 130, ხოლო 9 აგვისტოს — 150 კილოგრამი.

ტატიანა ტყებუჩავა,
ცხაკაიას რაიონის სოფელ ზანის კოლმეურნეობის მეჩაიე, სოციალისტური შრომის გმირი.

მთავარია კადრების იდეური წრთობა

ჩვენი ცხოვრების ყოველი დღე აღსავსეა შესანიშნავი მოვლენებით. საკოლმეურნეო მინდვრებზე თუ საწარმოებში, სამშენებლო პოლიგონზე თუ სამეცნიერო ლაბორატორიებში დიდი ცხოვრება ჩქეფს. იჭედება მომავალი. ყოველ კონკრეტულ უბანზე საქმის წარმატებას წყვეტენ ადამიანები, კადრები.

კომუნისტური პარტია, საბჭოთა სახელმწიფო სამართლიანად ამაყობენ კადრებით, რომლებიც მათ აღზარდეს სახალხო მეურნეობის ყველა დარგისათვის, სახელმწიფო და პოლიტიკური საქმიანობისათვის. მაღალი იდეურობა, პარტიის, ხალხის ერთგულება, უმწიკვლო პატიოსნება და სიმართლე, ნამდვილი თავდადება ყოველდღიურ მუშაობაში — აი რა ახასიათებს ჩვენს კადრებს. ამ თვისებათა „შორის ყველაზე დიდმნიშვნელოვანია მაღალი იდეურობა. მარქსისტულ-ლენინური იდეური წრთობა კადრების ძალის, მათი სიმტკიცის ცხოველმყოფელი წყაროა.

გაშლილი კომუნისტური მშენებლობის პერიოდში, როცა წყდება კომუნიზმის მატერიალურ-ტექნიკური ბაზის შექმნის და ახალი ადამიანის აღზრდის რთული ამოცანები, პარტია აძლიერებს ჰუმანობოვნელობას კადრების საქმიანობის მეთოდებისადმი, თვითეული მუშაკის მორალური სახისადმი.

„თუ ადამიანი იდეურად დარწმუნებულია თავისი საქმის სიმართლეში, — ამბობს ამხანაგი ნ. ს. ხრუშჩოვი, — მას ვერავითარი ძალა ვერ შეაჩერებს. მას შეიძლება სიცოცხლე წაართვათ, მაგრამ ვერავითარი ძალა ვერ აიძულებს გადაუხვიოს თავის გზას“.

ცხადია, იდეური რწმენა პარტიის იდეებისა და პოლიტიკის მარტო წიგნური ცოდნით არ ამოიწურება. ვ. ი. ლენინი აღნიშნავდა, რომ საკმარისი არ არის მარტოოდენ თეორიული ფორმულების შესწავლა, მარქსიზმის ჭეშმარიტებათა დაზეპირება. საჭიროა გამოვიმუშაოთ იმის უნარი, რომ თეორია დავუკავშიროთ პრაქტიკას. იდეურობა ნიშნავს იმას, რომ ნათლად გვესმოდეს საზოგადოებრივი მოვალეობა, ნიშნავს აქტიურ ბრძოლას პარტიის პოლიტიკის განხორციელებისათვის, მზადყოფნას და უნარს. ჩვენი ცოდნა, გამოცდილება გამოვიყენოთ პრაქტიკული ამოცანების გადასაჭრელად.

ამ ერთი თვის წინათ გაიმართა საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის პლენუმი, რომელმაც განიხილა საკითხი — „საქართველოს პარტიული ორგანიზაციების ამოცანები კადრების შერჩევის, განაწილებისა და აღზრდის დარგში“. პლენუმზე აღინიშნა, რომ უკანასკნელ წლებში რესპუბლიკის კოლმეურნეობებს, საბჭოთა მეურნეობებს, სამრეწველო საწარმოებს, სამეცნიერო-საკვლევ დაწესებულებებს და სხვა ორგანიზაციებს სათავეში ჩაუდგა მთელი პლეადა ღირსეული ადამიანებისა, რომლებსაც აქვთ ცოდნა და ორგანიზატორული ნიჭი, პატიოსანი და კეთილსინდისიერი ადამიანებისა, რომლებიც მთელ თავიანთ ძალღონეს ახმარენ კომუნისტური შენებლობის დიად საქმეს.

ჩვენი კადრების მაღალმა იდეურობამ განსაკუთრებით იჩინა თავი სკკპ ცენტრალური კომიტეტის მარტის პლენუმის გადაწყვეტილების შესაბამისად სოფლის მეურნეობის მართვის გარდაქმნასთან დაკავშირებით. კადრების საუკეთესო ნაწილი სამუშაოდ წავიდა კოლმეურნეობებსა და საბჭოთა მეურნეობების ტერიტორიულ საწარმოო სამმართველოებში. შესანიშნავი ინიციატივა გამოიჩინეს გურჯაანის რაიონის სოფელ ველისციხის კომუნისტმა სპეციალისტებმა — აგრონომებმა, ზოოტექნიკოსებმა, ვეტექიმებმა, რომლებიც სამუშაოდ წავიდნენ უშუალოდ ბრიგადებსა და მეცხოველეობის ფერმებში. ამ კარგ ინიციატივას ფართოდ გამოეხმაურნენ რესპუბლიკის სხვა რაიონებშიც.

იდეური ადამიანისათვის, რომელსაც ფართო პოლიტიკური მსოფლმხედველობა აქვს, ყოველთვის პირველ რიგშია პარტიის, სახელმწიფოს, ხალხის ინტერესები, კომუნისტური შენებლობის იხტერესები. იგი საზოგადოებრივ მოვლენებს, თავის საქმიანობას უდგება პარტიულობის პოზიციით, ეს საქმიანობა მიიჩნია იმ საერთო მუშაობის განუყოფელ ნაწილად, რომელსაც მთელი პარტია ეწევა კომუნიზმის შენებლობაში. და, პირიქით, უოდეო ადამიანი, ობივატელი პირველ პლანზე აყენებს ზრუნვას მხოლოდ თავისთვის, თავისი მდგომარეობისათვის. ასეთი ობივატელის ტიპიურ მაგალითს წარმოადგენდა ქ. ზუგდიდის პურპროდუქტების ბაზის ყოფილი გამგე ა. როგავა. იგი წლების განმავლობაში მუშაობდა ამ თანამდებობაზე და გამდიდრების მანიით შეპყრობილმა ზუგდიდში აიშენა სახლი 232 კვადრატული მეტრი ფართობით, ხოლო თბილისში იყიდა 104 კვადრატული მეტრი ფართობის ბინა. იგი სამართლიანად გაირიცხა სკკპ რიგებიდან.

მუშაკის უიდეობის უტყუარი ნიშანია ის, რომ მისი საქმე და სიტყვა არ შეესაბამება ერთმანეთს. ასეთი ადამიანები პარტიისა და მთავრობის დირექტივების შესრულებას გულგრილად ეკიდებიან, იჩენენ დაუდევრობას, ხოლო მთელ რიგ შემთხვევებში პირდაპირ ატყუებენ სახელმწიფოს, მიმართავენ თვალსაზვევას. მაგალითად, ბოლნისის რაიონის მერძეეობა-მებოსტნეობის საბჭოთა მეურნეობის ყოფილი დირექტორი ა. ხიდაშელი, პარტკომის ყოფილი მდივანი შ. სილაგაძე, კოლმეურნეობის საბჭოთა მეურნეობად გადაკეთებამდე ანგარიშწარმოების მუშაკებთან ერთად აფორმებდნენ ყალბ აქტებს, ამ გზით ეწეოდნენ საკოლმეურნეო ქონების გაფლანგვა-განიავებას. საკოლმეურნეო ქონების ეს დამტაცებლები გარიცხულ იქნენ პარტიიდან და მიცემული არიან პასუხისგებაში.

პარტიული და საბჭოთა კადრებისათვის ძეუფერებელი მოქმედებისათვის სკკპ რიგებიდან გაირიცხნენ და სამუშაოდან მოხსნილ იქნენ მცხეთის ქალაქის საბჭოს აღმასკომის ყოფილი თავმჯდომარე დ. ხოხობაშვილი, შავი ზღვის სუბტროპიკული კულტურების კომბინატის ყოფილი დირექტორი ი. გაბუნია, ახალციხის მუშათა მომარაგების მაღაზიის ყოფილი გამგე ო. კაზაზიანი, სამტრედიის მუშა ახალგაზრდების სკოლის ყოფილი დირექტორი პ. ჯორბენაძე.

ცხადია, ასეთი „კომუნისტები“ ერთეულები არიან, მათ უიდეო მოქმედებაში ბრალი მიუძღვით შესაბამის პირველ პარტიულ ორგანიზაციებს, პარტიულ კომიტეტებს. ცხადია, ისინი ერთბაშად არ გადაქცეულან ასეთ უიდეო მუშაკებად. ალბათ თავის დროზე დაწინაურების ღირსი იყვნენ. მაგრამ უკონტროლობამ, მათდამი უპრინციპო დამოკიდებულებამ პარტიული და საბჭოთა ორგანოების მხრივ დაიჩქარა მათი იდეური დაკნინება.

უიდეობა ხშირად თავს იჩენს ყოფაცხოვრებაშიც. ზოგჯერ პარტიული ორგანიზაციები ლიბერალურად ეკიდებიან კომუნისტური მორალის მოთხოვნებისა და სოციალისტური საერთო ცხოვრების ნორმების დამრღვევთ იმ საფუძველზე, რომ საერთოდ ისინი ცუდად არ ასრულებენ თავიანთ სამსახურებრივ მოვალეობას. ამან შეიძლება ზიანი მიაყენოს კადრების აღზრდის საქმეს. კომუნისტისათვის წარმოუდგენელია, რომ საზოგადოებრივი საქმიანობა და პირადი ცხოვრება არ ეთანხმებოდეს ერთმანეთს.

პირველადი პარტიული ორგანიზაციების, პარტიის რაიონული, საქალაქო და საოლქო კომიტეტების უპირველესი ამოცანაა მუდამ აუმჯობესებდნენ მუშაობას კადრების შერჩევისა და აღზრდისათვის, აუმჯობესებდნენ მათს იდეურ წრთობას. საჭიროა პარტიული და სახელმწიფო ორგანიზმის ყოველ რგოლში შეექმნათ მომთხოვნელობა, ნაკლოვანებებისადმი შეურიგებლობის ვითარება, განვითართოთ კრიტიკა და თვითკრიტიკა, დაეიცვათ კომუნისტის მაღალი წოდების სიწმინდე. პარტია კომუნისტებისაგან მოითხოვს, რომ ისინი პრინციპული, პატიოსანი ადამიანები იყონ.

მოსკოვს ჩამოვიდა იაპონიის საქმიანი წრეების დელეგაცია

მოსკოვი, 9 აგვისტო. (საკდესი). დღეს მოსკოვს ჩამოვიდა იაპონიის საგინანსოსამრეწველო სამყაროს თვალსაჩინო წარმომადგენელთა დიდი ჯგუფი, რომლის შემადგენლობაში შედიან უდიდესი გემთმშენებელი, მანქანათმშენებელი, საფეიქრო, ქიმიური და სხვა კომპანიების, აგრეთვე იაპონიის წამყვანი/ ბანკების პოუხიდენტები და გამგეობათა თავმჯდომარეები. იაპონიის საქმიანი წრეების დელეგაციას მეთაურობს იაპონიის ცნობილი მანქანათმშენებელი ფირმის „კომატსუ სეიასაკუძიოს“ პრეზიდენტი იოსინარი კავაი.

აეროდრომზე იაპონიის დელეგაციის მეთაურმა იოსინარი კავაიმ საკდესის კორესპონდენტისათვის მიცემულ ინტერვიუში გამოთქვა კმაყოფილება მიღებით, რომელიც გაუწიეს მას და მის კოლეგებს ხაბაროვსკსა და მოსკოვში შეხვედრის დროს.

ჩვენ გვახარია, თქვა კავაიმ, რომ ვეწვეთ თქვენს ქვეყანას. საბჭოთა კავშირს აქვს უდიდესი ძალა. იგი ფართოდ ახორციელებს ამჟამად ციმბირის ათვისებას.



უკრაინის სსრ. ხარკოვის სატრაქტორო ქარხნის საექსპერიმენტო საამქროდან საქარხნო გამოსახმარისებისათვის გამოვიდა მძლავრი თვლიანი ტრაქტორის „ტ-125“-ის საცდელი ნიმუშები. ტრაქტორს 130-ცხენისძალიანი დიზელის ძრავა აქვს.

ახალი მანქანა გამოყენებული იქნება ხვნაზე, თესვაზე, კულტივაციაზე, ფარცხვასა და მოსავლის აღებაზე, ხოლო შემოდგომაზე და ზამთარში — სატრანსპორტო სამუშაოებზე. ტრაქტორის სიჩქარე ხვნაზე საათში 4-დან 9 კილომეტრამდეა, ხოლო სატრანსპორტო სიჩქარე 10 ტონა ტვირთამწეობის მისაბმელით — 30-35 კილომეტრი საათში.

პური—სამშობლოს

ვოლგოგრადი, 8 აგვისტო. (საკდესი). ვოლგოგრადელები ამთავრებენ მარცვლეულის მკას, მათ ღვარგულებად დალაგეს პური 3.700 ათას ჰექტარზე მეტ ფართობზე, თითქმის ნახევარი უკვე გალეწილია.

გზებზე დღისითა და ღამით ელევატორებისაკენ მიეშურება მარცვლეულით დატვირთული ათასობით ავტომანქანა. დღეს შუადღისას სახელმწიფოსათვის ჩაბარებული იყო 140 მილიონ ფუთზე მეტი პური.

შესანიშნავი გამარჯვება მოიპოვეს ქვემო ვოლგისპირეთის ყველაზე დიდი საწარმოო სამმართველოს — ვოლგოგრადის სამმართველოს მშრომელებმა. მათ ოლქში პირველმა შეასრულეს ვალდებულება.

გიგანტური ტურგინი

პრიდნეპროვსკი (დნეპროპეტროვსკის ოლქი), 8 აგვისტო. (საკდესი). ვადაზე ერთი თვით ადრე დამთავრდა დღეს პრიდნეპროვსკის სახელმწიფო რაიონული ელექტროსადგურის პირველი გიგანტური ორთქლის ტურბინის აწყობა, რომლის სიმძლავრეა 300 ათასი კილოვატი.

სწრაფად მიმდინარეობს ზემძლავრი ქვაბის მონტაჟი, რომელიც გამოიმუშავებს 950 ტონა ორთქლს საათში. უკვე დამთავრდა ამ 50 მეტრი სიმაღლის ბუმბერაზი აგრეგატის კარკასის აწყობა. ახლა იდგმება მხურვალმედეგი მილების გულდასმით ამოკერული ბლოკები.

„თანამედროვე ბრაზილია“

საბჭოთა და ბრაზილიელი მეცნიერების ერთობლივი შრომა

„თანამედროვე ბრაზილია“ — ასეთი სათაური აქვს კრებულს, რომელიც დასაბეჭდად მომამზადეს სსრ კავშირის მეცნიერებათა აკადემიის ეთნოგრაფიის ინსტიტუტის და ლათინური ამერიკის ქვეყნების ინსტიტუტის მეცნიერებმა ბრაზილიის კულტურის გამოჩენილ მოღვაწეებთან თანამეგობრობით.

ამ კოლექტიურ შრომაში მოცემულია თანამედროვე ბრაზილიის სოციალური და პოლიტიკური პრობლემების, მისი ეკონომიკისა და კულტურის ფართო მიმოხილვა, ლაპარაკია ბრაზილიელი ხალხის ეროვნულ-განმათავისუფლებელი ბრძოლის შესახებ, საბჭოთა კავშირთან და სხვა სოციალისტურ ქვეყნებთან ყოველმხრივი კავშირის განვითარების შესახებ.

კრებულის მეორე კარი მთლიანად მოამზადეს ბრაზილიის კულტურის პროგრესელმა მოღვაწეებმა: გაერთიანებული ერების ორგანიზაციის შენობის და ქალაქ ბრაზილიის მთავარმა არქიტექტორმა ო. ნიმაიერმა, გამოჩენილმა კრიტიკოსმა და ფილოსოფოსმა რეი დო პინამ, გამოჩენილმა თანამედროვე კომპოზიტორმა ა. ესტრელამ, ცნობილმა მხატვრებმა დი კავალკანტიმ და მ. ტუმანინეტმა, ეთნოგრაფმა მეცნიერმა ედისონ კარნეიერმა და სხვებმა. ნარკვევებსა და სტატიებში ისინი აცნობენ მკითხველებს ხუროთმოძღვრების, მეცნიერების, ლიტერატურის, თეატრის, კინოს, რადიოსა და ტელევიზიის თანამედროვე მდგომარეობას.

„თანამედროვე ბრაზილია“ — საბჭოთა მეცნიერ ეთნოგრაფებისა და ოკეანეოლოგთა ქვეყნის კულტურის მოღვაწეთა კულტურული თანამშრომლობის პირველი მერცხალია. კრებულს ინტერესით წაიკითხავენ მკითხველთა ფართო წრეები. (საკდესი).

ბრაზილიის ამბები

ფოთის მცურავი მიწამწოვები უცხოეთში

ფოთი, 7 აგვისტო. (საქდესი). ფოთის ჰიდრომექანიზმების ქარხნაში მზადაა ეგვიპტეში ასუანის კაშხალის მშენებლობაზე გასაგზავნად მცურავი მიწამწოვი დანადგარების მორიგი პარტია. წელს ასეთი დანადგარები გაიგზავნება აგვარეთვე კუბასა და ინდონეზიაში.

შვიდწლედის დამლევისათვის ქარხნის პროდუქციის მოცულობა 7-ჯერ გადიდდება. გარდა ამისა ქარხანა გამოუშვებს ჰიდრომექანიზაციისათვის განკუთვნილ მანქანებს.

უანგარო დახმარება

ჯავანა. (საკდესი). აქ ხელი მოაწერეს საბჭოთა კავშირ-კუბის მთავრობათა ოქმს იმის შესახებ, რომ საბჭოთა კავშირი უსასყიდლო ტექნიკურ დახმარებას გაუწევს კუბის სამრეწველო თევზჭერას.

სსრ კავშირის მთავრობა, რომელიც ესწრაფვის ეკონომიური და ტექნიკური თანამშრომლობის შემდგომ განმტკიცებას ორივე ქვეყანას შორის, და ითვალისწინებს კუბის რესპუბლიკის მთავრობის სურვილებს, უსასყიდლო დახმარებას გაუწევს კუბას საძიებო სამუშაოთა განხორციელებაში და თევზჭერის ორგანიზაციაში იმ წყლებში, რომლებიც კუბის კუნძულს ესაზღვრება, და სამრეწველო თევზჭერის ტექნიკისათვის კუბელ მეგზურთა კადრების მომზადებაში.

გეგმა — ვადამდე

ყაზალეთი. (საკ. კორ.). „საქგუმბრინის“ მაღაროთა სამმართველოს კოლექტივმა, რომელიც წლის დამდეგიდანვე რიტმულად მუშაობს, გადაკარბებით შეასრულა ძვირფასი წიაღისეულის მოპოვების შვიდი თვის დავალება.

ივნისში მწყობრში ჩადგა საფქვავი ქარხნის მეორე მძლავრი წისქვილი, რითაც დაფქული მადნის გამოშვება ერთნახევარჯერ გაიზარდა. მაღაროელებმა მნიშვნელოვნად შეამცირეს ოგორკა ნატეხი, ისე დაფქული გემბრინის თვითღირებულება და განველილ პერიოდში 32.000 მანეთი შეიტანეს ეკონომიის ფონდში.

მაღალნაყოფიერი შრომით თავი გამოიჩინა ლია კარიერების კოლექტივმა, რომელიც ნატეხი გუმბრინის მოპოვების შვიდი თვის გეგმა 106,7 პროცენტით გაანღდა. გრაფიკს უსწრებენ და ცალაში ათობით ტონა ზეგეგმით მადანს იძლევიან № 3 მაღაროს ბრიგადები, რომლებსაც ბ. მაღლაფერიძე და რ. მარჯანიშვილი ხელმძღვანელობენ.

ფოთოლი არის რატომ არ კრეფენ?

მშვენიერი სტარტია აღებული! — ამბობენ ზუგდიდელი მეჩაიეების მუშაობაზე. და ეს არც არის სინამდვილეს მოკლებული. კოლმეურნეობებისა და საბჭოთა მეურნეობების, ტერიტორიულ საწარმოო სამმართველოში შემავალ კოლმეურნეობებსა და საბჭოთა მეურნეობებში ამ საერთო მაჩვენებლებს მიღმა სერიოზული ნაკლოვანებებიც იმალება. ეს ნაკლოვანებები არ იქნებოდა, რომ ყველა კოლმეურნეობა პასუხისმგებლობით ეკიდებოდეს საქმეს.

აბა რაზე მიუთითებენ ის ფაქტი, რომ რაიონის 30 კოლმეურნეობიდან სამი თვის გეგმა ვერ შეასრულა 9 კოლმეურნეობამ, ხოლო იგლისის გეგმა — 18 კოლმეურნეობამ. მარტო ამ რამოდენიმე კოლმეურნეობებმა სახელმწიფოს 213 ტონა „მწვანე ოქრო“ დაკარგეს.

სოფელ ურთის XVIII პარტყრილების სახელობის კოლმეურნეობას 80 ჰექტარზე აქვს ჩაის პლანტაცია. ფოთოლი უხვად აქვს შემოსული, მაგრამ იგი არ იკრიფება.

რაიონის მაჩვენებლებს უკან სწევენ ეგრეთწოდებული დაბალი ზონის კოლმეურნეობები. მართალია, აქ ჩაი დიდი ხანია დამკვიდრდა, მაგრამ ვერ იქნა და ვერ შეიყვარეს ეს კულტურა. ამბავს მეტყველებს ის ფაქტი, რომ დაბალი ზონის 7 კოლმეურნეობამ წლიური გეგმით უნდა მოკრიფოს 440 ტონა ჩაის ნედლეული, მოკრეფილია 241 ტონა.

უკეთესი მდგომარეობა არც ორსანტიის გეგეჭკორის სახელობის კოლმეურნეობაშია (თავმჯდომარე გ. ნაჭყებია). შარშან ორსანტიელებმა გეგმის შესრულებას 25 ტონა ჩაის ნედლეული დაკარგეს. ჩამორჩენა წელსაც გრძელდება. მართალია წელს გეგმა მეტია, მაგრამ მონდომება ნაკლებია. ჯერჯერობით 105 ტონიდან მხოლოდ 72 ტონა ჩაის ფოთოლია მოკრეფილი. 32 ჰექტარი მოსავლიანი პლანტაციიდან 8 ჰექტარი მუხრარია. მერეკე ბრიგადის (ბრიგადირი გრ. საბეკია) 8 ჰექტარი ფართობი სარეველებით არის დაფარული.

რაიონის საერთო მაჩვენებლებს უკან სწევენ ეგრეთვე აბასთუმნის, დიდნენერის, ერგეტის, განმეხურის, გრიგოლიანის კოლმეურნეობები.

საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტისა და საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს მიმართვის გაცნობის შემდეგ რაიონის ბევრმა კოლმეურნეობამ კონკრეტული ღონისძიებების გატარების შედეგად მდგომარეობა ერთგვარად გამჯობესდა. მაგრამ ეს მხოლოდ დასაწყისია. საქმე ისე უნდა მოეწყოს, რომ ჩაის ფოთლის კრეფაში ყველა შრომის უნარიანი მშრომელი უნდა მონაწილეობდეს, არცერთი კილოგრამი ფოთოლი არ უნდა იკარგებოდეს. მაშინ ნაკლოვანებანი სწრაფად გამოსწორდება.

გ. ნოდია,
„კომუნისტის“ საკ. კორესპონდენტი.

პროვოკაციები მრძელდება

პავანა, 9 აგვისტო. (საკდესი). ამერიკელი იმპერიალისტები განაგრძობენ პროვოკაციებს კუბის წინააღმდეგ. როგორც რევოლუციური შეიარაღებული ძალების სამინისტრო იუწყება, 6 აგვისტოს ღილით ამერიკის ხუთმა სამხედრო თვითმფრინავმა სამჯერ დაარღვია კუბის სამაერო საზღვრები. თვითმფრინავებმა, რომლებმაც საზღვრები დაარღვიეს, გადაუფრინეს ორიენტეს პროვინციის სამხრეთ სანაპიროს. ამავე დღეს ამერიკის ჯარებმა, რომლებიც გუანტანამოს სამხედრო-საზღვაო ბაზაში იმყოფებიან, 14-ჯერ დაუშინეს ცეცხლი კუბის ტერიტორიას.

ახალი ღონისძიება კონგოში

ლეოპოლდვილი, 9 აგვისტო. (საკდესი). ლეოპოლდვილის რადიომ გადასცა კონგოს რესპუბლიკის ცენტრალური მთავრობის გადაწყვეტილება აიკრძალოს იმ თვითმფრინავების ფრენა კატანგის ტერიტორიაზე, რომლებიც გაერთიანებული ერების ორგანიზაციას ეკუთვნის. ამ გადაწყვეტილების შესაბამისად გაერთიანებული ერების ორგანიზაციის კონგოს მისიის წარმომადგენლებმა აუწყეს ყველა აეროდრომსა და საავიაციო კომპანიათა წარმომადგენლობებს, რომ ძალაში შევიდა ეს დადგენილება.

ბელგიის გავლენიან წრეებს ეს ღონისძიება აგრეთვე მიაჩნიათ ჩომბეზე ზეგავლენის საშუალებად.

დაბეჭდილი ციფრები

შრომის ნაყოფიერების 1,5 პროცენტით შემცირებით სამშობლოს ქარხანამ 251.883 მანეთის პროდუქცია დააკლო.

ერთი პროცენტით შრომის ნაყოფიერების გაზრდა კი დამატებით მოგვცემდა 167.890 მანეთის პროდუქციას

რატომ ვერ ასრულებენ ავტომობილმშენებლები შრომის ნაყოფიერების გაზრდების დავალებას?

ქუთაისის ს. ორჯონიკიძის სახელობის ქარხანაში სულ უფრო იზრდება პროდუქციის მოცულობა, უმჯობესდება ავტომობილის რთული კვანძებისა და დეტალების დამუშავების ტექნოლოგია.

მაგალითად, გასული წლის პირველ ნახევართან შედარებით ჩვენს ქარხანაში 16,6 პროცენტით გაიზარდა საერთო პროდუქცია, ხოლო 13,9 პროცენტით — სასაქონლო პროდუქციის მოცულობა, თვალსაჩინოდ გადიდდა ავტომანქანების გამოშვება. მიმდინარე წლის პირველ ნახევარში, გასული წლის შესაბამის პერიოდთან შედარებით, შრომის ნაყოფიერება 10,7 პროცენტით ამაღლდა.

ერთი შეხედვით, ყველაფერი თითქოს რიგზეა. მაგრამ აქ ჩვენ გვინდა გულახდილად ვთქვათ, რომ პროდუქციის გამოშვებისა და შრომის ნაყოფიერების გადიდების ტემპი არ შეესაბამება შვიდწლიანი გეგმით მიმდინარე წლისათვის დასახულ ღონეს. ქარხანამ წელს პირველი ნახევრის საერთო და სასაქონლო პროდუქციის გამოშვების გეგმა ვერ შეასრულა, ხოლო შრომის ნაყოფიერების ზრდამ 12,4 პროცენტის ნაცვლად მხოლოდ 10,7 პროცენტი შეადგინა.

გამოანგარიშებამ გვიჩვენა, რომ ჩვენს ქარხანაში შრომის ნაყოფიერების თუნდაც ერთი პროცენტით გადიდება დამატებით მოგვცემდა 167.890 მანეთის პროდუქციას.

ჩვენთან კი პირიქით მოხდა — გეგმასთან შედარებით შრომის ნაყოფიერება ერთნახევარი პროცენტით რომ შემცირდა, ამით ქარხანამ ზუსტად 251.383 მანეთის პროდუქცია დააკლო ქვეყანას.

როგორც ვხედავთ, მეტად დამაფიქრებელი ციფრებია!..

ბუნებრივია, იბადება კითხვა — რატომ ვერ ასრულებენ ავტომობილმშენებლები შრომის ნაყოფიერების გადიდების დავალებას?

მთავარი ის არის, რომ ჩვენთან სუსტად, არასაკმაოდ ხორციელდება ტექნიკური პროგრესისა და წარმოების უკეთესი ორგანიზაციისაკენ მიმართული ღონისძიებები.

როგორც ამ დღეებში გამართული პარტიულ-სამეურნეო აქტივის კრებაზე აღინიშნა, ქარხანაში ბევრია ძველი, მორალურად და ფიზიკურად გაცვეთილი ჩარხები. ქარხანაში 619 ისეთი ჩარხი დგას, რომლებიც უკვე დაბალი წარმადობისაა, ნაკლები სიზუსტისა გახდნენ და გადაუდებელ გამოცვლას მოითხოვენ. ამ საქმეში ქარხანას ნაკლებ დახმარებას უწევს საქართველოს სახალხო მეურნეობის საბჭო და მისი მანქანათაშენებლობა მრეწველობის სამმართველო.

ასევე ითქმის ელექტროდანადგარების შესახებ. საჭირო მასალების უქონლობის გამო დანადგარებს დაგვიანებით და უხარისხოდ არემონტებენ. დასანანია, რომ ქარხნის მარტო ორ საამქროში — ძრავას და სიჩქარეთა კოლოფის საამქროში ექვსი თვის განმავლობაში გადაიწვა და მწყობრიდან გამოვიდა ოთხასამდე ელექტროძრავა. ამას შედეგად მოჰყვა როგორც ჩარხების, ისე მუშახელის მოცდენა, სამუშაო დროის დიდი დანაკარგები.

საწნეხ-საძარე საამქროში აღკვეთილი არ არის ხელით მძიმე შრომა. აქ საკმაო რაოდენობით არ არის ტელფერები, და მძიმე დეტალები ხელით გადააქვთ. საამქრო უზრუნველყოფილი არ არის სათადარიგო ტვიფრებით, არსებული ტვიფრები კი მოძველებულია და ხშირ შეკეთებას მოითხოვს. ამის გამო მუშები ცდებიან.

ახალი საძარე საამქრო ამ ერთი წლის წინათ გადაეცა საექსპლოატაციოდ. მისი კოლექტივი მონდომებით მუშაობს. მაგრამ მანქანის გაბინის დამზადებასა და აწყობაზე მთელი რიგი შრომატევადი სამუშაოები მექანიზებული არ არის. ამითაც აიხსნება, რომ საამქრომ წლის პირველ ნახევარში შრომის ნაყოფიერების დავალება ვერ შეასრულა.

ჩვენს საწარმოს ჯერ კიდევ არ ყოფნის კვალიფიციური მუშები. ნახევარი წლის მანძილზე საშუალოდ ქარხანას 364 მუშა აკლდა, რის გამო დადგენილზე რამდენჯერმე მეტი რაოდენობით იქნა აყვანილი მოწაფეები, რომელთა შრომის ნაყოფიერება, ცხადია, დაბალია.

ქარხანაში ადგილი აქვს მუშათა ხშირ დენადობას, შრომითი და საწარმოო დისციპლინის დარღვევებს. ნახევარი წლის მანძილზე ქარხანაში სამუშაოდ მოვიდა 1.269, აქედან უმრავლესობა წარმოებაში ვერ დამკვიდრდა. ამავე პერიოდში არასაპატიო მიზეზით გაცდა 7.218 კაცდღე. ცხადია, ასეთ პირობებში ძნელდება მუშათა კვალიფიკაციის ამაღლება, შრომის მაღალი ნაყოფიერების მიღწევა.

დასამალავი არ არის, რომ, საბინაო მშენებლობის ფართო გაქანების მიუხედავად, ქარხანას ჯერ კიდევ არ ძალუძს ყველა ახალმოსული მუშის დაკმაყოფილება საცხოვრებელი ბინით. ამ მდგომარეობის შემსუბუქება იმით შეიძლება, რომ თვით ქუთაისის მკვიდრნი მეტი რაოდენობით ჩააბან თავიანთი საამაყო გიგანტის შრომითს ფერხულში. სამწუხაროდ, ასე როდი ხდება. მთელი ექვსი თვის მანძილზე ქარხანაში სამუშაოდ მოვიდა მხოლოდ 96 ქუთაისელი.

არის სხვა მიზეზებიც, რომლებიც ამცირებენ შრომის ნაყოფიერებას და საერთოდ ქარხნის საწარმოო მაჩვენებლებს. ჭედადი თუჯის საამქრო დიდი რაოდენობით უშვებს წუნდებულ სხმულს. ეს ხელს უშლის ლითონდამამუშავებელ საამქროთა მაღალნაყოფიერ მუშაობას.

აქ გვერდს ვერ ავუვლით აგრეთვე სერიოზულ შეფერხებებს კოოპერირებულ მიწოდებათა საქმეში. ქარხნის დირექციისა და ადგილობრივი ორგანიზაციების მიერ მიღებულ საჭირო ღონისძიებათა მიუხედავად, ჩვენ კოოპერირების წესით მონათესავე ქარხნებისაგან დაგვიანებით, შეფერხებებით ვიღებთ ავტომანქანის ცალკეულ კვანძებსა და დეტალებს.

„კომუნისტის“ საგუშაგო ქუთაისის ორჯონიკიძის სახელობის საავტომობილო ქარხანაში: ი. ხაზარაძე — სიჩქარეთა კოლოფის საამქროს ამწყობი, რესპუბლიკის დამსახურებული რაციონალიზატორი, **ნ. კილატოვა** — საწნეხ-საძარე საამქროს უფროსი ეკონომისტი, **პ. მარდალეიშვილი** — № 2 სამსხმელო საამქროს სხმულების შემომწმებელი, **დ. ლოლაძე** — ქარხნის მრავალტირაჟიან გაზეთ „ლენინელის“ რედაქციის პასუხისმგებელი მდივანი.

შრომის ნაყოფიერება, ეს, საბოლოო ანგარიშში, ყველაზე მნიშვნელოვანი, ყველაზე მთავარია ახალი საზოგადოებრივი წყობილების გამარჯვებისათვის.

შახვის სიახლენი

ელექტრომექანიკური სახელოსნოს საზეინკლო საამქროში, რომელიც ლენინის სახელობის შახტის ტერიტორიაზე მდებარეობს, ყურადღებას იპყრობს ორიგინალური ფორმის უხარამაზარი ფარი, რომელიც ფურცლოვანი ლითონის და ხის ოთხკუთხა მსხვილი ძელებისაგან არის დამზადებული.

— ამ ფარს, — განგვიმარტავს სამთო ინჟინერი დ. დობორჯგინიძე, — პარაბოლისებური ფარი ეწოდება. მისი სამობლოა კუზნეცკის აუზი. ქვანახშირის სქელი ფენების დამუშავების ეკონომიური მაჩვენებლებით თუ ვიმსჯელებთ, ამ სიახლეს სამთო მრეწველობაში უდავოდ დიდი მომავალი აქვს. ფარის გამოყენება მით უფრო რენტაბელურია ტყიბულის ქვანახშირის საბადოში, სადაც მაღნეულის ფენები საკმაოდ სქელი და ამავე დროს დამრეცია.

ახლა მეშახტეები ქვანახშირის ფენის დამუშავებას იწყებენ მოწინავე გამკვეთების გაყვანით. გამოსამუშავებელ სამთო ველში საზიდ და საავენტილაციო შტრეკებს შორის ადმავალი მიმართულებით გაიყვანენ ვიწრო კვეთის სამთო გამონამუშევარს — გამკვეთს. შემდეგში ამ გამონამუშევარს გაიფართოებენ, დაამყარებენ ჰიერის ჭაღლით განიავების ნორმალურ რეჟიმს და გახსნიან მოქმედი სანგრეგის ხაზს, რომელსაც სამთოელები ლავს უწოდებენ. ქვანახშირის ფენის გარკვეული სიგრძის ზოლის გამომუშავების შემდეგ გადაინაცვლებენ მარჯვნივ 8-10 მეტრის სიგრძეზე და კვლავ გაიყვანენ გამკვეთს. ასეთ სამუშაო ოპერაციებს იმეორებენ მანამდე, სანამ არ გამომუშავდება მთელი სამთო ველი.

სამთო ველის დამუშავების ეს მეთოდი ტყიბულის ქვანახშირის საბადოში ერთ-ერთი პოპულარული და დამკვიდრებული მეთოდია. სხვა დადებით თვისებებთან ერთად მისი მთავარი ნაკლი უწინარეს ყოვლისა ის არის, რომ სამთო ველის დამუშავებისათვის საჭიროა ხის დიდძალი ბიგები. ყოველ ამოღებულ 1.000 ტონა ქვანახშირზე 40 კუბმეტრი ხის მასალა იხარჯება. ხე-ტყის ასეთი დიდი ხარჯი შესამჩნევად ზრდის მოპოვებული ქვანახშირის თვითღირებულებას. გარდა ამისა ამ მეთოდით არ ხერხდება წიაღისეულის მთლიანად გამოღება. ეს იწვევს ერთი მხრივ ძვირფასი სამბობის დაკარგვა-განიავებას, მეორე მხრივ კი სამთო ველში დატოვებული ქვანახშირი ქმნის საშიშროებას ვინაიდან ქვანახშირი ჰაერთან შეხებისას შეხურდება და იწვევს მიწისქვეშა ხანძრებს.

ამას წინათ ტყიბულში მიაღწია ცნობამ კუზნეცკელ მეშახტეთა მიერ ნოვატორული სიახლის შემოღების — ჭერის მართვის ეფექტური ხერხის — პარაბოლისებური ფარებით მუშაობის ახალი მეთოდის შემუშავების შესახებ. ამ სიახლის შესასწავლად კუზნეცკის აუზში გაემგზავრა ტყიბულქვანახშირის ტრესტის მმართველი ლ. რატიანი და სამთო ინჟინერი დ. დობორჯგინიძე. მათ კუზნეცკში რამდენიმე დღე დაჰყვეს, გულდასმით გაეცნენ ქვანახშირის სქელი ფენების დამუშავების ამ ახალ მეთოდს.

ტყიბულში დაბრუნებისთანავე ქართველმა მეშახტეებმა გადაწყვიტეს ეს სიახლე დაენერგათ ყველაზე მძლავრ საწარმოში — ლენინის სახელობის შახტაში. ახლა აქ უდიდესი შემოქმედებითი მუშაობაა გაჩაღებული. დამთავრდა ფარის მონტაჟი. ჩქარი ტემპით გაპაყვთ ის სამთო გამონამუშევარი, რომელშიც დაიდგმება პარაბოლისებური ფარი და გაიხსნება მომქმედი სანგრეგის ხაზი.

ქვანახშირის ფენის დამუშავების ეს პროგრესული ხერხი, როგორც აქაური სამთო სპეციალისტები ვარაუდობენ, მთლიანად შეცვლის სანგრეგში მეშახტეთა შრომის რეჟიმს. სანგრეგი, სადაც წარმოებს წიაღისეულის მოზგრევა, მოცალეთ [illegible] ... ბაში-ბაში [illegible] ... ბაში-ბაში [illegible] ... ბაში-ბაში

სახალხო გმირობა მალოიაროსლავეცთან

მალოიაროსლავეცი პატარა ქალაქია 124 კილომეტრზე მოსკოვის სამხრეთ დასავლეთით. იგი მდებარეობს მდინარე ლუჟის ნაპირებზე და ბაღებით არის გარშემორტყმული. სამხრეთიდან ტყე ფარავს. თითქოს ქალაქი სიმშვიდესა და მყუდროებაში უნდა ცხოვრობდეს! მაგრამ ისტორია კი შერყევათა წყებაა.

ქალაქის სკვერში დგას ქვითკირის პატარა შენობა, რომელსაც გერბი ამშვენებს. გერბზეა უკანა ფეხებზე შემდგარი დათვი, რომელსაც მრისხანედ უბერავს აფთი. ეს ქალაქს სიმბოლოა. ასე დახვდა ქალაქი მტერს 1812 წლის ოქტომბრის მრისხანე დღეებში.

ნაპოლეონმა მოსკოვიდან უკანდახევისას გადაწყვიტა თავისი არმიები გაეტარებინა სურსათით მდიდარ რუსეთის სამხრეთ გუბერნიებზე. მისი ძალები დაიძრნენ კალუგის ძველი გზით, კალუგისაკენ.

კუტუზოვმა ტარუტინოსთან დაამარცხა მიურატის ჯარები და დაუყოვნებლივ დასძრა თავისი ძალები მალოიაროსლავეცისაკენ, რომელიც ნაპოლეონის მთავარი ძალების მოძრაობის გზაზე მდებარეობდა.

ჯერ კიდევ მანამდე, სანამ რუსეთის ჯარები მალოიაროსლავეცში შევიდოდნენ, ადგილობრივი სასამართლოს მოსამსახურემ საბა ბელიაევმა რომელიც ფრანგ მხროლელთა ტყვეებს არ მოერიდა, გახსნა წისქვილის კაუხალი მდინარე ლუჟაზე. წყლის ნაკადებმა თითქმის მთელ დედამეს შეაფერხა მტრის წინსვლა.

1812 წლის 24 ოქტომბრის წინაღამეს გაჩაღდა ბრძოლა მალოიაროსლავეცში. ბრძოლებში მონაწილეობას იღებდნენ ორივე არმიის მთავარი ძალები. ქალაქი თორმეტჯერ გადავიდა ხელიდან ხელში და ნანგრევებად იქცა, სოფელ ნემცოვოში (ამყოფად რადიშჩევო), რომელიც ქალაქის ზედ გარეუბანთან მდებარეობს, დიდი რუსი რევოლუციონერის ალექსანდრე რადიშჩევის სახლში მოთავსდა კუტუზოვის მთავარბანაკი. მოპირდაპირე გარეუბანში, სოფელ გოროდნიაში, ფეიერ ალრსანოვის ქოხში ნაპოლეონის შტაბი იყო.

ნაპოლეონისათვის ცხადი გახდა, რომ კალუგისაკენ გაჭრა განწირული იყო ჩასაფუშავად. „მათზე იერიშის მიტანა არ შეიძლება, — თქვა სამხედრო საბჭოს სხდომაზე მარშალმა ბესიერმა. — განა არ ნახეთ გუშინ ბრძოლის ველი, განა ვერ შეამჩნიეთ, რა გაფთრებით, სამკვდრო-სახიცოცხლოდ იბრძოდნენ რუსი ახალწვეულები, ცუდად შეიარაღებულნი და ცუდად ჩაცმულნი?“.

ნაპოლეონმა გადაწყვიტა უკან დაეხია სმოლენსკისაკენ იმ ადგილებში, რომლებიც მან უკვე გაატარა შემოტევის დროს. „დიდმა არმიამ“ სასიკვდილო ჭრილობა მიიღო ბოროდინოს ველზე, ხოლო მისი საბოლოო დაღუპვა წინასწარ გადაწყდა მალოიაროსლავეცის ჭურებში. აქედან დაწყო კუტუზოვმა თავისი განოქმული კონტრშეტევა, რომელიც დამპყრობთა სრული განადგურებით დამთავრდა.

გერბიანი შენობა მუზეუმია. აქ შეკრებილია 1812 წლის ომის, მალოიაროსლავეცისათვის სახახელო ბრძოლის რელიკვიები. აქ ყოველთვის ბევრი ხალხია. წლის მანძილზე 40-50 ათასი მნახველი გაივლის.

მუზეუმთან სკვერის ცენტრში კუტუზოვის ძეგლი დგას, მის უკან 1812 წლის გმირების ძმათა საფლავებია: კლდესთან დგას ბრინჯაოს ფიგურა რუსი ჯარისკაცისა, რომელიც საფლავს დიდების გვირგვინით ამკობს. ლიონნის დაფებზეა სამხედრო ნაწილებისა და ბრძოლაში დაღუპულთა სიები. კლდის გვერდებზეა ძველებური ქვემეხები ლაფეტებზე.

და კიდევ ერთი ძეგლი ეს არის კლდე, რომელშიც ჩამონტაჟებულია ნახევრადამსხვრეული იარაღი.

ძეგლები დადგეს რუსთა პოლკებმა მალოიაროსლავეცის ბრძოლის 100 წლისთავზე (1912 წელს).

1812 წლის ომის დიდებული ძეგლია ყოფილი მალოიაროსლავეცის მონასტერიც. მისი „ცისფერი ეშკარი“ დაცხრილულია ყუმბარებითა და ტყვიებით.

სასტიკი ბრძოლები გაჩაღდა მალოიაროსლავეცის მისადგომებზე 1941 წლის შემოდგომაზე. ისევე როგორც ბოროდინოში, აქ გადიოდა მოსკოვისათვის ახალი ისტორიული ბრძოლის ფრონტი. საბჭოთა ნაწილები, რომლებმაც დროებით უკან დაიხიეს ნაოფიცერთა სკოლებში, ორი თვის შემდეგ უეცარი შეტევით მიადგნენ მალოიაროსლავეცს. მტერი არ ელოდა მათ. ჰიტლერელები ახალი 1942 წლის დადგომას დღესასწაულობდნენ. მაგრამ ჭიქები დაუცლელი დარჩა. ფაშისტები გაიქცნენ და საბჭოთა ჯარების ხელში დატოვეს 35 ტანკი, 160 ქვემეხი და ბევრი სხვა ტექნიკა. მთავარი კი ის იყო, რომ ვერ მოასწრეს განეხორციელებინათ მალოიაროსლავეცის დანგრევის ბარბაროსული გეგმა, თუმცა რამდენიმე დიდი საზოგადოებრივი შენობა აიფეთქეს. საშინელი ბოროტმოქმედება ჩაიდინეს მტრებმა ნახევარ კილომეტრზე მალოიაროსლავეცდან: საბჭოთა მეურნეობის ფარდულში ჩაკეტეს 375 დაჭრილი საბჭოთა სამხედრო ტყვე და ცოცხლივ დაწვეს ისინი.

მალოიაროსლავეცი ჩვენს დროს შენდება, იზრდება. მისი მრეწველობა უშვებს მილიონნობით მანეთის სასოფლო-სამეურნეო მანქანების სათადარიგო ნაწილებს, ავტომანქანების ელექტრომოწყობილობას, სამკერვალო ნაწარმს, სამშენებლო ბლოკებსა და სხვა პროდუქციას.

მომავალში გაიხსნება რამდენიმე ახალი საწარმო: ტრიოტაჟის საცვლების ფაბრიკა, საკარტონაჟო ფაბრიკა, კვების მრეწველობისათვის საჭირო მანქანების ქარხანა. 1964 წლისათვის მალოიაროსლავეცი მთლიანად გაზიფიცირებული იქნება.

რუსეთის დიდების ქალაქი წლითიწლობით მშვენდება.

ვ. ვოინოვი.

საგენტო „ახალი ამბების“ კორესპონდენტი.

მოხალისენი

ახალი დოკუმენტები 1812 წლის სამამულო ომის შესახებ

ოდესის საოლქო არქივში აღმოჩენილია ახალი დოკუმენტები, რომლებიც მოწმობენ სამხრეთ რუსეთის მცხოვრებთა აქტიურ მონაწილეობას 1812 წლის სამამულო ომში.

ქალაქის თავის ერთ-ერთ მოხსენებაში აღნიშნულია, რომ „ოდესაში მომზადებულია უკვე 74 მოლაშქრე, რომელთათვისაც დღემდე შემოსულ შეწირულებათაგან მზადდება ტანსაცმელი, იარაღი და სურსათი...“

აღმოჩენილია ოდესის მცხოვრების ივანე ბაბაშიკის საინტერესო წერილი ქალაქის ხელისუფალთადმი: „სახელმწიფოს ხსნას ვწირავ არა მარტო ჩემს თავს, არამედ ვიწვევედი რა ასეთივე მსხვერპლისათვის თანამოაზრე ადამიანებს სხვადასხვა ეროვნებისას, შეეკრიბე სავსებით უნარიანი 45-მდე კაცი“.

პატრიოტული აღმავლობა, რომელმაც სამხრეთ უკრაინის მოსახლეობა მოიცვა, იმდენად დიდი იყო, რომ სახალხო ლაშქრის შედგენისაგან სამხრეთი გუბერნიების განთავისუფლების შესახებ მეფის მანიფესტის გამოქვეყნების შემდეგაც კი მრავალი მოხალისე მიმართავდა თხოვნით ადმინისტრაციულ დაწესებულებებს.

გუბერნატორის 1812 წლის 18 აგვისტოს მოხსენებაში ნათქვამია:

„გამაკვირვა იმან, რომ 40 კაცი გუშინ მუნდირის გაუხდელად ცრემლმორეული დაჟინებით გვემუდარებოდა დაგვეტოვებინა კაზაკებად და კაზაკური მუნდირებით, რათა გაგვემწესებინა კაზაკთა პოლკებში... გაკვირვებულმა დავინახე, თუ რა სიმამაცით სურთ მათ იბრძოლონ რუსეთის მტრის წინააღმდეგ“.

აი კიდევ ერთი დოკუმენტი. ცნობილმა უკრაინელმა მეცნიერმა მეტაქვე სკორჟინსკიმ 1812 წლის აგვისტოში გენერალ-გუბერნატორს მიმართა თხოვნით ნება დაერთო მისთვის საკუთარი სახსრებით შეიდგინა გლეხებისაგან ულანთა ესკადრონი. ნებართვა მიიღო, და 1812 წლის 4 სექტემბერს ესკადრონი სკორჟინსკის მეთაურობით ფრონტზე წავიდა. ნაპოლეონის ჯარებთან ბრძოლებში გამოჩენილი გულადობისა და მამაცობისათვის ესკადრონის 96 ჯარისკაცი დაჯილდოებულ იქნა ვერცხლის მედლებით.

მოხალისეთა რაზმების შედგენასთან ერთად სამხრეთ უკრაინაში წარმოებდა სახსრების მასობრივი შეგროვება. ნოვოროსიისკის გუბერნიის მოსახლეობამ არმიის საჭიროებისათვის შესწირა 444.150 მანეთი.

საგენტო „ახალი ამბები“.

* * *

სურათზე: ბაგრატიონის ფლეშების მარცხენა სიმაგრე სოფელ სემიონოვსკოეს სამხრეთ-დასავლეთით.

ფოტო ო. კუზმინისა.
(საკდესის ფოტოქრონიკა).

დიდი რეჟისორი და მოქალაქე

კოტე მარჯანიშვილის დაბადების ოთხმოცდამეათე წლისთავი

წელს ოქტომბრის მეორე ნახევარში ქართველი ხალხი აღნიშნავს თავისი სახელოვანი შვილის, საბჭოთა თეატრის დიდი მოღვაწის, საქართველოს სსრ სახალხო არტისტის კოტე მარჯანიშვილის დაბადების ოთხმოცდამეათე წლისთავს.

შექმნილია საიუბილეო კომისია, რომლის შემადგენლობაშიც არიან:



ი. აბაშიძე, ვ. ანჯაფარიძე, დ. ანთაძე, დ. ალექსიძე, თ. ბუაჩიძე (თავმჯდომარე), გ. ბუხნიკაშვილი, ვ. გოძიაშვილი, ა. ვასაძე, გ. ზაუტაშვილი, მ. მრევლიშვილი, დ. მჭედლიძე, გ. პაიჭაძე, პ. პატარაია, ნ. ფურუშაძე (მდივანი), ა. ჩხარტიშვილი, ა. ხორავა, დ. ჯანელიძე.

ამ დიდი თარიღისათვის გამომცემლობა „ხელოვნება“ რუსულ ენაზე მასობრივი ტირაჟით გამოსცემს კოტე მარჯანიშვილის მოკლე ბიოგრაფიულ ნარკვევს.

საქართველოს სსრ კულტურის სამინისტრო, რესპუბლიკის თეატრალური საზოგადოება და შ. რუსთაველის სახელობის თეატრალური ინსტიტუტი ამიერკავკასიის, მოსკოვის, ლენინგრადის, რიგის, კიევის თეატრალური საზოგადოებებისა და თეატრმცოდნეობის სამეცნიერო დაწესებულებების წარმომადგენლებთან ერთად მოაწყობენ კოტე მარჯანიშვილის ცხოვრებისა და მოღვაწეობისადმი მიძღვნილ საგანგებო სამეცნიერო სესიას.

ოქტომბრის მეორე ნახევარშივე კ. მარჯანიშვილის სამშობლოში — ყვარელში გაიმართება დიდი რეჟისორისადმი მიძღვნილი საღამო.



სოფელმა ტარუტინომ (კალუგის ოლქი) თვალსაჩინო როლი შეასრულა 1812 წლის სამამულო ომში. აქ მოიყვანა მ. ი. კუტუზოვმა რუსთა ჯარები მოსკოვიდან და სამიდდიდ გადაუკეტა სამხრეთისაკენ მიმავალი გზა ნაპოლეონის არმიას. სამი კვირის განმავლობაში იდგნენ რუსთა ჯარები ტარუტინოს თვალუწვდენ მინდვრებში და კონტრშეტევისათვის ემზადებოდნენ.

1812 წლის დარჩენილ სიმაგრეთა ადგილზე სოფელ ტარუტინოს გლეხებმა 1834 წელს მონუმენტური ძეგლი ააგეს.

1812 წლის სამამულო ომის 150 წლის იუბილესათვის მზადების დღეებში ტარუტინოს ნახულობს ათასობით ექსკურსანტი საბჭოთა კავშირის ყველა კუთხიდან.

სურათზე: 1812 წლის ძეგლთან.

ფოტო ო. კუზმინისა (საკდესის ფოტოქრონიკა).

ერთხელ, ბინდისას, როდესაც მთაწმინდიდან თბილისს გვიკქეროდი, შემომესმა გულთბილი და სასიამოვნო ხმა:

— გეგეწვიეთ, უსათუოდ გეგეწვიეთ ჩვენს პატარა ქართულ სოფელში!

გულისყური რადიოს რეპორტიორისკენ გამექცა, მაგრამ ის ხმა მაშინვე მიწყდა.

„სად?: რომელია ის პატარა ქართული სოფელი, სადაც ასე დაბეჯითებით გეეპატიჟებიან?“

იმავე დღეს გავიგე, რომ ის სოფელი საქართველოს გარეთ არის, შავი ზღვის სანაპიროსთან, მდინარე სოჭის ხეობაში, და სახელად პლასტუნკა ეწოდება.

...მის, ნახევის სურვილი აგერ ახლა შემისრულდა. წელს, ზაფხულის ერთ მცხუნვარე დღეს მანქანით მივყეებოდი სოჭის ლამაზად მოხატულ ხეობას. კლდეებში გაკრილი გზა თანდათან მაღლა მიიწევდა. იზრდებოდნენ მწვანით შემოსილი გორაკები, თვალდათვალ იმართებოდნენ ერთიმეორის ზურგში ჩამდგარი მაღალი მთები. ეს ის დრო იყო, როდესაც ტყეებში ჰყვაოდა წაბლი, და მუხნარში, წიფლნარსა და ქორაფებში უხვად შერეული წაბლნარი თეთრად აფეთქებულიყო. ძირს, ხეობაში, თოფნაკოცავი ვეფხვივით გმნაადა მდინარე სოჭი, თ�ოქოს ჭრილობისაგან გამძვინვარებული წამოდგომას ლამობს, მაგრამ ვერ ახერხებსო.

გამოჩნდა სოჭის ორივე მხარეზე გაშენებული სოფელი და წყლის კიდეთა შემაერთებელი, ჰაერში დაკიდებული ბონდის ხიდები, როგორიც იმერეთსა და რაჭა-ლეჩხუმის მშფოთვარე მდინარეებზე შეგვხვდება ხოლმე.

ეავიზლვისპირეთის მახლობელ მთებში მოსახლე ჩერქეზთა მოუსვენარი ტომები ხელს უწყობდნენ ოსმალ დამპყრობთა ბნელ საქმეებს. ხშირად ისმოდა მოთქმა და ტირილი ბავშვებისა და ქალიშვილების გატაცების გამო. გაჰქრნდათ და შემოჰქონდათ კონტრაბანდა, დასაყრდენ ბუდეებს ქმნიდნენ ჩვენს მიწა-წყალზე. რუსეთ-ოსმალეთის ომის დროს დამარცხებულ ოსმალებთან ერთად ბევრი ჩერქეზთაგანი ზღვის გაღმა გადაიხვეწა და ამ მხრეში ძე სულერი აღარ მოიპოვებოდა.

დაიწყო ამ კუთხის ჩასახლება. წამოვიდნენ რუსები და უკრაინელები, ყუბანელი კაზაკები და სომხები, სახლდებოდნენ შავიზღვისპირეთში და საძირკველს უყრიდნენ ახალ ოჯახებს.

სწორედ იმ ბანებში საქართველოდანაც დაიძრა უმიწაწყლო გლეხების პატარა ქარავანი. საოჯახო ნივთებით დატვირთული ორთვალა ურმები, რომლებსაც ფეხდაფეხ მოჰყვებოდნენ ბავშვები, ტაატით მოაწევდა ზღვისპირეთისკენ. ღიისით მწველი სიცხე სტანჯავდა მათ, ღამით ძილს უფრთხობდა ბაყაყების ყიყინი და აბეზარი კოღოების წივილი. მჭადის ნატეხით და პრასით დაპურებულნი მოდიოდნენ ისინი მდიდარი, სანატრელი მხარისკენ, როგორც ეს ბაეგონათა თავიანთ კუთხეში — ლეჩხუმის მთებში მიგარდნილ სოფლებში.

მათი ტანშორჩილი ხარები ძლივს მიაღოღიალებდნენ ურმებს, ვაი-ვაგლახით ითრევდნენ ჭაობში ჩავარდნილ თვლებს, მაგრამ ისე მძიმე იყო უმიწობა და ისე ძლიერი იყო მათი სწრაფვა აღთქმული მიწა-წყლისაკენ, რომ ვერაფერი ვერ აბრკოლებდა. გატანჯულებმა, შეცვიებულებმა ჩააღწიეს სოჭში, სადაც იმ დროს ერთი სამეკიტნო, სამხედრო საგუშაგო და ათიოდე მოსახლე იყო.

ბაყაყების შეუნელებელი „სიმფონიის“ უსიამოვნო ხმაურში ერთი ღამე გაათიეს იქ. გათენებისას გადახვიეს ტყეებით და ეკალ-ბარდებით დაფარულ დაბლობს, სადაც უხვად იყო მოფენილი ცოტბიანი, ჭაობები. არ მოეწონათ მაღალი მთების შვილებს ჩავარდნილი ადგილები, დაიწუნეს სოჭის მიდამოები და ისევ აიყარნენ. ისინი გაჰყვნენ მდინარე სოჭის ხედნენ წყალწყალ... ადიდებოდა სოჭი, მოჰქონდა კლდეებიდან მონაგლეჯი ლოდები, ეჯახებოდა მორების დამცურებლებს, წაიქცევდა, წიქცეული ტალღებთან ბრძოლით ისევე ზეზე დგებოდა, ტალღები ისევ წაიქცევდნენ, მაგრამ მაინც არ ეშვებოდა, შეუპოვრად მიიცურებდა ხე-ტყეს დაბლა, სოჭისაკენ... დიდება შენ, გაუტეხავო ნებისყოფავ, დაუღალავო მარჯვენავ, შენი ზეიმი იყო, ხეობაში მოგუგუნეს იმერული „დელი-დელა“, ბუნებასთან ჭიდილში გაკაკვებული ადამიანების მჭეხარე სმღერა, რასაც ეხმატკბილებოდა მდინარის ბობოქარი ტალღები და ხეობაში ატეხილი ქარები!..

ეაბა, მეპურეებო, მიწაში ჰურები ჩაყარეთ! ღვინო ხომ გწყურიათ?.. კალმტეხებო და დურგლებო, დროს ნუ დაკარგავთ, ქვა და მიწა უხვად არის, ულეველია ხე-ტყე, ააგეთ სახლები, ახალ ოჯახებს თქვენი ოსტატურად დახატული ჭერი და ქედლები მოეხდება, ცოლშვილს ღია ცის ქვეშ ხომ არ დაანებებთ?! მექოთნეებო და მეპურეებო, კეცები გამოსწვეთ, სათონეები ამოსჭერით, ჭური ხომ გინდათ, მჭადი ხომ გიყვართ, დაე თქვენი გამომცხვარი ჭურის სურნელება მთელ ხეობას მოეღოს, ფრინველი გაახაროს, ნადირი გააშმაგოს!..

და მართლაც გაჩაღდა ცეცხლი... წყალვარდნილებზე კუზიანი აქლემებივით შეაყენეს წისქვილები, აამძრავეს მათი ღრღრეტა ბორბლები მდინარეებში ბოძები ბურჯებად ჩასვეს, ფიცრული ხიდები გამართეს. ადიდებულ წყლებს მიჰქონდა მათი აგებული ხიდ-ბოგრები, მაგრამ მაინც არ ეშვებოდნენ, მაინც ებრძოდნენ სოჭს. მაშ როგორ უნდა გადაელახათ მაღალი მწვერვალიდან დაქანებული მდინარე?!

ორივე ნაპირზე დასახლდა ხალხი. ხშირ ტყეებში მოჩანდა მათივე ხელით გამოთლილი ყაყრის სახურავები. ასწლოვან ხეებზე ანიზიდა იზაბელას ხვიარა ვაზი, წამოიზარდა ქართული ჯიშის ხეხილი — ვაშლი და მსხალი, ქლიავი და ბალი... ეზოები შეალამაზა ვაზის ფოთლების ფანჩატურებმა.

დამფრთხალი შვილ-ირმა ახალმოსახლეთა ეზო-კართან ეძებდა საშვილს... და ოფნის შამფურებზე აგებული მწვადები ხშირად შიმხინებდა. ხუთჯერ ნაყარი რქებმა კი ოჯახის სამკაულად რჩებოდა.

იმ დროიდანვე სოფელი რთ ერნაად დაიყო ღელისთვისაც შემორჩა მაშინ შექრქმეული სახელები: ზეუბანი, ქვეუბანი, იმერლები და აჭარლები (ლეჩხუმის სოფელ აჭარიდან წამოსული ვლეხები):

წამოიზარდნენ შვილები და შვილიშვილები, წამოვიდნენ მომდევნო თაობები და მთელ ხეობას მოეფინენ.

ბრგესა და წარმოსადეგ ვაქაცს ვანო უჩაძეს ჯერ კიდევ ახალგაზრდა ეთქმის, მაგრამ უკვე სასახელო ბიოგრაფია აქვს. ვანო ქვეუბანში დაიბადა. სოჭის ნაპირებზე გაიზარდა. თავიდანვე ცნობისმოყვარე იყო და ბავშვობა გარემო ბუნებასთან ურთიერთობაში გაატარა. თითქოს რაღაცის ძიებაში ყოფილიყოს, თვალყურს ადევნებდა ნადირთა და ფრინველთა ცხოვრებას. დაუზარელი და ფაუღალავი სოფლის მდინარეს ხშირად სათავემდე აჰყოლია. ბევრჯერ ყოფილა ყაჟასიის ნაკრძალში, სადაც მრავალი მშვენერი ადგილი ეგულებოდა. რუკაზე ნაგალისწინებულ პრაქტიკულ მუშაობას ეწევიან. ხეხილის ბაღი ამშვენებს სკოლას. თესავენ სიმინდს, ლობიოს, კარტოფელს, ნარგავ-ნათესებს მოსწავლეები უვლიან, და ბერნახულსაც თვითონვე იღებენ. დაახლოებით ხუთასი ძირი ვაზი ეკენებათ. ვენახი პატარა აქვთ, მაგრამ დიდი სიხარული იპყრობს ბავშვებს შემოდგომაზე რთველში. წელს უხვად მოუსხამს ვაზს. კარგ მოსავალს ელიან. მშობელთა კომიტეტი სკოლას და ბავშვებს ახმარს მათი ბაღ-ვენახისა და ყანა-ბოსტნის შემოსავალს. იძენენ ლიტერატურას და ამდიდრებენ სკოლის ბიბლიოთეკას.

ვანო უჩაძე და ვერა ფრუიძე საქართველოს გარეთ ცხოვრობენ, მაგრამ იქაც თავიანთი ყოველდღიური შრომით, ფიქრით და საქმიანობით სამშობლოს სახელს ადიდებენ.

ნათელა ბაბუხადია მეშვიდე წელში გადადგა თუ არა, დედას კაბა და წინსაფარი შეაკერინა, მამას თეთრი ბაფთები ჩამოატანინა სოჭიდან. ოლონდ „დედაენა“ არ ჰქონდა. მირიბანმა მეზობლის ბიჭთან, თამაზ სვანიძესთან და წიგნი სთხოვა.

— მე თვითონ მჭირდება! — მიუგო თამაზმა და ნათელა უარით გაისტუმრა.

ცრემლმორეულმა ბოგორნამ დედას შესჩივლა, თამაზმა „დედაენა“ არ მომცაო.

— როცა თამაზი მეორე კლასში გადავა, წიგნს მაშინ მოგცემს! — დაამშვიდა დედამ.

დადგა გაზაფხული. აპრილიც მიილია. ნათელა ყოველდღე ჭიშკართან ხვდებოდა თამაზს და ეკითხებოდა:

— გადახვედი მეორე კლასში?

— არა, ჯერ არ გადავსულვარ!

ნათელა გულნაკლული ბრუნდებოდა შინ, მაგრამ ერთხელ იმანაც გაიხარა, თამაზი გადავიდა მეორე კლასში, მან ჩანთიდან „დედაენა“ ამოიღო და ფაქიზად შენახული წიგნი მიაწოდა. ნათელამ „დედაენა“ გულში ჩაიკრა და სახლისკენ გაიქცა.

— „დედაენა“ ვიშოვნე, „დედაენა“!..— ახარა დედას.

ახლა ნათელა მოუთმენლად ელის სწავლის დაწყებას.

ნუნარ ამირდში სოჭის მიდამოებში ზღვაც მომხიბვლელია და ცაც... სიმშვიდეს გვგვრის მწვანე ხეხილნარი, ყვავილებისა და მესანარეთა სურნელებით აღვსილი ჰაერი კი ისეთი წმინდა და საღია, რომ ნეტარებივით სვამ... ასე შეეგრძენი სოჭი, ქალაქი-კურორტი, რომელიც დღეს მთელ ქვეყნიერებას იზიდავს. საბჭოთა კავშირის ყოველი კუთხიდან ისწრაფვიან მისკენ. უცხოელები აღტაცებული არიან დ- მისი ნახვა ოცნებად აქვთ გადაქცეული. ამას ადასტურებენ დელიდან და ბაღდადიდან, ვიეტნამიდან და ჩინეთიდან, ამერიკიდან და ინგლისიდან ჩამოსული სტუმრები.

დღეს უკვე ოცდათი კილომეტრის სიგრძეზეა გადაჭიმული ეს ქალაქ-კურორტი. ბუნებამ წარმოშვა ასეთი. შეაგულ ქუჩებზეც კი ეტყობა, რომ მისი მწვანე სამოსელი თავისით წარმოშობილა, ადამიანს ხელს კი ასფალტი დაუფარავს მისი მკკრდი ხეების — ჭანდრების, ნეკერჩხლის, სოჭ-სა და მურყანის საუკუნოვანი ფესვები.



ბურჟუაზიული ფილოსოფიის მხილება

ბურჟუაზიულ ისტორიულ-ფილოსოფიურ აზროვნებამ განსაკუთრებით მწვავე იდეოლოგიური ბრძოლის ასპარეზია სოციოლოგია. იგი აიხსნება სოციალიზმის მსოფლიო სისტემის უდიდესი წარმატებებით და კაპიტალიზმის საერთო კრიზისთ. თანამედროვე ბურჟუაზიული სოციოლოგიის ძირითად მიმდინარეობათა რეაქციული არსის მხილებას ეძღვნება ნიკოლოზ ცხაკაიას ბროშურა **„თანამედროვე ბურჟუაზიული სოციოლოგიის რეაქციული არსება“**, რომელიც ახლახან გამოვიდა.

სარეცენზიო ბროშურის პირველი თავი „ბურჟუაზიული სოციოლოგია სუბიექტივიზმისა და ემპირიზმის ტყვეობაში“ ეხება საერთო დახასიათებას თანამედროვე ბურჟუაზიული სოციოლოგიისა, რომელიც უარყოფს საზოგადოებრივი განვითარების კანონზომიერებათა შემეცნების შესაძლებლობას და სოციალური მოვლენების ანალიზიდან აშკარად ყალბ დასკვნებს აკეთებს. ეს აიხსნება იმით, რომ თანამედროვე ბურჟუაზიულ სოციოლოგიას არ გააჩნია ერთიანი ფილოსოფიური საფუძველი და უაღრესად ეკლექტიკურია. ამის საფუძველზე ავტორი აშკარავებს პრაგმატიზმზე, ვოლუნტარიზმზე, ნეოპოზიტივიზმზე და სუბიექტური იდეალიზმის სხვა მიმართულებებზე დაფუძნებული ბურჟუაზიული სოციოლოგიის რეაქციულ არსს და გვიჩვენებს მის წინააღმდეგ ბრძოლის უდიდეს თეორიულ და პრაქტიკულ პოლიტიკურ მნიშვნელობას.

ამავე თავში დახასიათებულია თანამედროვე ბურჟუაზიული სოციოლოგიური სკოლებს ობიექტივიზმი, რომელიც მიმართულია პარტიულობის პრინციპის წინააღმდეგ და უხვად ამახინჯებს საზოგადოებრივი განვითარების ნამდვილ სურათს. თანამედროვე ბურჟუაზიული სოციოლოგია აშკარად დაშორებულია მეცნიერულ ობიექტურობას და ემყარება სოციალურ მოვლენათა სუბიექტურ კონცეპციას. იგი უარყოფს სინამდვილის წინააღმდეგობრივი მოვლენების მეცნიერულ ახსნას და ამყაფოფილდება ცალკეული ფაქტების რეგისტრაციით.

სარეცენზიო ბროშურაში ნაჩვენებია, რომ თუ ადმავალი კაპიტალიზმის სოციოლოგია მსჯელობდა საზოგადოებაზე, პროგრესზე საერთოდ და უგულებელყოფდა საზოგადოებრივ ეკონომიურ ფორმაციათა კონკრეტულ შესწავლას, ამჟამად ბურჟუაზიული სოციოლოგია დგას ემპირიზმის თვალსაზრისზე და აზვიადებს ცალკეულ ფაქტებს, თავს არიდებს საზოგადოების განვითარების კანონზომიერების მეცნიერულ ახსნას.

ბროშურის მეორე თავში — „თანამედროვე ბურჟუაზიული სოციოლოგიის ძირითადი მიმართულებანი“ მოკლედ გადმოცემულია ბურჟუაზიული სოციოლოგიის მიმართულებანი:

ბროშურაში ბურჟუაზიული სოციოლოგიის აღნიშნული სკოლების ანალიზიდან აშკარად ჩანს, რომ ბურჟუაზიული იდეოლოგია, როგორც მითითებულია სკკპ პროგრამაში, ღრმა კრიზისს განიცდის. მისი არსებითი ნიშანია ანტიკომუნიზმის ქადაგება და ბურჟუაზიული წყობილების ექსპლოატატორული ბუნების გამართლება.

„ბურჟუაზიული იდეოლოგიისაგან არაფრით არ განსხვავდება მეშარჯვენე სოციალისტების რეფორმისტული თეორია რომელიც მიმართულია მუშათა კლასის თეორიული განიარაღებისა და მისი მოძრაობის ბურჟუაზიული იდეოლოგიისადმი დამორჩილებისაკენ. ამავე მიზანს ისახავს რევიზიონიზმი, რომელიც ღგას დოგმატიზმის თვალსაზრისზე. მეშარჯვენე სოციალისტების, რევიზიონისტების დოგმატიზმს სოციალური და გნოსეოლოგიური ფესვები მხილებულია სარეცენზიო ბროშურის მეოთხე თავში „ორი სამყარო — ორი იდეოლოგია“.

ავტორი შრომის 21-ე გვერდზე ავითარებს დებულებას იმის შესახებ, რომ ბურჟუაზიულ სოციოლოგიაში ამჟამად განსაკუთრებით იკიდებს ფეხს მცოცავი ემპირიზმის თვალსაზრისი. ცხადია, ეს, დებულება სწორია. მაგრამ საჭირო იყო მისი შემდგომ გაშლა ბურჟუაზიული სოციოლოგიის ცალკეული სკოლების ლიტერატურულ მასალაზე დაყრდნობით. ამით კი გასაგები იქნებოდა, თუ რატომ არის თანამედროვე ბურჟუაზიული სოციოლოგია ემპირიზმის ტყვეობაში.

უნდა შევნიშნოთ ისიც, რომ მეორე თავში არაფერია ნათქვამი თანამედროვე ბურჟუაზიული სოციოლოგიის ისეთ ძირითად მიმართულებებზე, როგორიც არის „ისტორიის ფილოსოფიის“ სკოლა, „ღირებულების“ თეორია და სხვა, რომელთა განხილველად შეუძლებელია თანამედროვე ბურჟუაზიული სოციოლოგიის არსის შედარებით სრულყოფილად წარმოდგენა.

ამ შენიშვნების მიუხედავად, ნ. ცხაკაიას ბროშურა „თანამედროვე ბურჟუაზიული სოციოლოგიის რეაქციული არსება“ პოპულარული სახით იძლევა ბურჟუაზიული იდეოლოგიის რეაქციული ბუნების ნათელ სურათს. იგი უდავოდ დაეხმარება თანამედროვე ბურჟუაზიული ფილოსოფიისა და სოციოლოგიის კრიტიკით დაინტერესებულ მკითხველს.

დოც. ვ. კალანდარიშვილი.

ნიკოლოზ ცხაკაია. თანამედროვე ბურჟუაზიული სოციოლოგიის რეაქციული არსება (გვ. 104), სახელმწიფო გამომცემლობა „საბჭოთა საქართველო“, 1962 წ.

კომუნისტი

მე-8 გვერდი, პარასკევი, 10 აგვისტო, 1962 წ.

ეს გოგონა ჩვენი თანამემამულე თამარ გაბარაშვილია, მოსკოვის კონსერვატორიის ასპირანტი, ვიოლონჩელისტი. თამარმა ბრწყინვალე გამარჯვება მოიპოვა ახალგაზრდობისა და სტუდენტთა VIII მსოფლიო ფესტივალზე გამართულ მუსიკოს-შემსრულებელთა კონკურსში. მან ოქროს მედალი ჩამოიტანა ჰელსინკიდან სამშობლოში.

ფოტო შ. ჩხეტიანისა.

ფართო გზა მეცნიერებისაკენ

ახალი დებულება ასპირანტურის შესახებ

სსრ კავშირის უმაღლესი და საშუალო სპეციალური განათლების სამინისტრომ დაამტკიცა ახალი დებულება ასპირანტურის შესახებ. ამასთან დაკავშირებით საკდესის კორესპონდენტი ესაუბრა მინისტრის პირველ მოადგილეს მ. ა. პროკოფიევს.

კითხვა: რამ გამოიწვია ახალი დებულება ასპირანტურის შესახებ?

პასუხი: უწინარეს ყოვლისა მეცნიერთა კადრების მომზადების შემდგომი გაუმჯობესებისათვის ზრუნვამ. დღემდე ასპირანტურის კურსდამთავრებულთა მხოლოდ უმნიშვნელო რიცხვი იცავდა დისერტაციას მეცნიერების კანდიდატის სამეცნიერო ხარისხის მოსაპოვებლად. დანარჩენებს მხოლოდ ასპირანტურის დამთავრების მოწმობა ეძლეოდათ. რით აიხსნება ასეთი მდგომარეობა? ჯერ ერთი იმით, რომ უმაღლესი სასწავლებლები და სამეცნიერო-საკვლევი ინსტიტუტები სუსტად მუშაობენ ასპირანტურისათვის კანდიდატთა შესარჩევად; მეორე, მეცნიერი ხელმძღვანელები ხშირად ყოველდღიურ კონტროლს არ უწევენ ასპირანტებს.

იყო კიდევ ერთი, შეიძლება ითქვას, მთავარი მიზეზი. დისერტაციის დაცვის ნება მხოლოდ იმათ ჰქონდათ, ვინც უკვე გამოაქვეყნა თავისი ნაშრომის ძირითადი დებულებანი.

ეს და მთელი რიგი სხვა ნაკლოვანებანი აღინიშნა სკკპ ცენტრალური კომიტეტისა და სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს ცნობილ გადაწყვეტილებებში მეცნიერთა კადრების მომზადების შესახებ ჩვენს ქვეყანაში. სწორედ პარტიის, მთავრობის მითითებათა საფუძველზე შემუშავდა ახალი დებულება ასპირანტურის შესახებ.

კითხვა: როგორია ახალ და ძველ დებულებათა ძირითადი განსხვავებანი?

პასუხი: უწინარეს ყოვლისა უნდა აღინიშნოს არსებითი ცვლილებები, რომლებიც შეტანილია ასპირანტის უფლებასა და მოვალეობაში. როგორც უკვე ვთქვით, ასპირანტურის კურსდამთავრებულად ის ითვლებოდა, ვინც დაიცავდა დისერტაციას ან დაამუშავებდა მეცნიერულ-კვლევითს თემას, რომელიც, სამეცნიერო საბჭოს აზრით, საკმაოდ სასარგებლოდ იქნებოდა მიჩნეული. ახლა ასპირანტურის კურსდამთავრებულად ის პირები ითვლებიან, რომლებიც აუცილებლად დაცავენ ან დასაცავად წარადგენენ დისერტაციას დაწესებული ვადისათვის. ეს დისერტაცია უნდა შეიცავდეს ახალ მეცნიერულ, პრაქტიკულ დასკვნებსა და რეკომენდაციებს.

არსებითად შეიცვალა მიღების პირობები. თეორიულ დისციპლინებში მეცნიერთა კადრების მოსამზადებლად ასპირანტურაში საკონკურსო გამოცდებზე ახალგაზრდა სპეციალისტები დაიშვებიან უმაღლესი სასწავლებლის დამთავრებისთანავე. ასეთივე უფლებები აქვთ დაუსწრებელი, საღამოს უმაღლესი სასწავლებლების კურსდამთავრებულებსაც, რომლებსაც სულ ცოტა ორი წლის პრაქტიკული მუშაობის გამოცდილება აქვთ. ასპირანტურაში შესვლის დროს შესასვლელი გამოცდებისაგან თავისუფლდებიან ის პირები, რომლებსაც ჩაბარებული აქვთ საკანდიდატო მინიმუმი.

დიდი შეღავათები ენიჭებათ დაუსწრებლად მოსწავლე ასპირანტებს. ისინი ოთხი წლის სწავლის მანძილზე კვირაში ერთ დღეს თავისუფალი არიან ძირითადი სამუშაოსაგან. ამ დღეს მათ ეძლევათ ხელფასის 50 პროცენტი. თუ ასპირანტმა მოისურვა, საწარმო-დაწესებულებათა ხელმძღვანელებს ნება ეძლევათ სწავლის მეოთხე წელს მისცენ დამატებით კიდევ ერთი-ორი თავისუფალი დღე კვირაში, მაგრამ ხელფასის აუნაზღაურებლად.

მოკავშირე რესპუბლიკების მეცნიერთა კადრების მოსამზადებლად ახალი დებულება ითვალისწინებს ეგრეთწოდებული მიზნობრივი ასპირანტურის მოწყობას. ამ ასპირანტურაში უკონკურსოდ ჩაირიცხება ყველა ის პირი, ვისაც აქვს მოკავშირე რესპუბლიკების სასწავლებლების, სამრეწველო საწარმოების, საბჭოთა მეურნეობების, კოლმეურნეობებისა და სხვა ორგანიზაციების რეკომენდაცია.

უმაღლეს სასწავლებლებთან მოწყობილ ეროვნულ ასპირანტურაში ახლა ჩაირიცხებიან არა მარტო უმაღლეს სასწავლებელთა მასწავლებლები, არამედ სკოლების მასწავლებლებიც არა უმეტეს 45 წლის ასაკისა.

უმეტესია, ახალი დებულება ასპირანტურის შესახებ ხელს შეუწყობს ჩვენს ქვეყანაში ახალგაზრდა მეცნიერთა კადრების არა მარტო რაოდენობრივ ზრდას, არამედ, და ეს უმთავრესია, მათ ხარისხოვან მომზადებასაც. (საკდესი).

ქართველი მომღერლის გასტროლები

საბჭოთა მსახიობების ჯგუფი ორ თვეს იყოფდა გასტროლებზე ავსტრალიასა და ახალ ზელანდიაში. საბჭოთა მსახიობთა ჯგუფში იყო თბილისის ზ. ფალიაშვილის სახელობის ოპერისა და ბალეტის სახელწიფო თეატრის სოლისტი, რესპუბლიკის დამსახურებული არტისტი, გლინკას სახელობის ვოკალისტთა სრულიად საკავშირო კონკურსის laureატი ნელა ამირახანაშვილი.

საბჭოთა ხელოვნების ოსტატთა პირველი კონცერტები გაიმართა ქალაქ პერტიში (დასავლეთი ავსტრალია). მედეა ამირანაშვილმა შეასრულა არიები ოპერებიდან, რუსა და საზღვარგარეთელ ავტორთა, აგრეთვე ქართველი კომპოზიტორების გ. ჩხიკვაძისა და ს. ციფაძის რომანსები. განსაკუთრებული წარმატება ხვდა წილად ჭრიჭინას სიმღერას ციხოფლიმ „ჭრიჭინადან“. პერტიელ საქალაქო გაზეთი რეცენზიაში წერდა: „მომღერალ ნელა ამირახანაშვილს აქვს ლამაზი ტენორის ხმა, იგი განსაკუთრებული სიმსუბუქით ძლევს ყველა ვოკალურ სიძნელეს. მომღერალმა მოგვაჯადოვა თავისი ხმით, შესახიშნავი სიმღერითა და არტისტიზმით“.

საბჭოთა მსახიობებმა 82 კონცერტი გამართეს ავსტრალიაში. სცენის ოსტატთა ხელოვნებას გაეცნენ ქალაქების ადელაიდის, სიდნეის, ბრისბენის, მელბურნის, ავსტრალიის დედაქალაქ კანბერის მცხოვრებნი. ქართველი მომღერლის გასტროლებმა ახალ ზელანდიაშიც დიდი წარმატებით ჩაიარა. რეცენზიებში ხაზგასმით აღნიშნავდნენ, რომ მსმენელმა განსაკუთრებული ესთეტიკური სიამოვნება მოიკვარა მისი ხელოვნების გაცნობამ.

უახლოეს ხანში ახალგაზრდა მომღერალი საგასტროლოდ გაემგზავრება პოლონეთში. (საკდესი).



ტელევიზია

10 აგვისტო

18.00 — კონონარკვევი, 18.40 — [illegible] 18.50 — [illegible] 19.50 — [illegible] 20.10 — ახალი ამბები, 20.30 — საესტრადო კონცერტი.



რადიო

11 აგვისტო
პირველი პროგრამით

08.30 — საბჭოთა სპორტსმენების სიმღერები და მარშები, 09.20 — ს. ნასიძე. საფორტეპიანო ტრიო, 10.15 — რადიოგაზეთი „საქართველოს პიონერი“, 10.45 — უკრაულ ანსამბლი „დომრა“, 11.00 — რადიოორკესტი — „საართულები მაღლა მიიხედენ“, 11.15 — ნაწყვეტები კაბალევსკის ოპერა „ტარასის ოჯახიდან“, 12.15 — კონცერტი — „ხალხური მელოდიები“, 12.45 — ზ. ლევინა. სამი სიმფონიური ვალსი, 13.40 — სიმღერები მეგობრობაზე, 17.20 — გადაცემა მოსწავლეთათვის. რადიოდადგმა „ნილოსის საოცარი მოგზაურობა“ (1 გადაცემა), 18.05 — კონცერტი — „მამათ საღამოს“, 18.45 — რ. შტრაუსი. სიმფონიური პოემა „ტილ ულენშპიგელი“, 19.00 — ფეზბურთის მატჩის რეპორტაჟი მოსკოვიდან, 20.20 — კონცერტი ფიზკულტურელთა დაკვეთით, 21.05 — მსუბუქი ინსტრუმენტული მუსიკა, 21.30 — ქართველი პოეტების ლირიკული ლექსები, 21.50 — კონცერტი-მიმოხილვა — „თბილისის საოპერო თეატრის გასტროლები ლენინგრადში“, 22.40 — ვალსები.



რუსთაველის სახელობის, ოქტომბერი, საქართველო (წითელი დარბაზი), **პლეხანოვის სახელობის კლუბი** (საზამთრო) — ნახტომი უფსკრულზე, **ამირანი** (საზამთრო), **თბილისი, საქართველო** (მწვანე დარბაზი), **გაზაფხული, ნაკადული** — ძმები კომაროვები, **კოსმონავტს №...**, **ისანი** (საზაფხულო) — **გზა ნავმისადგომისაკენ**, **სპარტაკი, 26 კომისრის სახელობის** (პირველი დარბაზი), **კოლხიდა** (საზამთრო), **ყაზბეგი** (მეორე დარბაზი) — **საქმის და უქმი დღეები**, **კომკავშირელი, ვაკის პარკი, ორჯონიკიძის სახელობის კულტურისა და დასვენების ცენტრალური პარკი** — **მიიპარეს ბომბი**.

ამერიკის დელეგაცია ჯიუჯოგს

18 სახელმწიფოს განიარაღების კომიტეტში

ჟენევა, 8 აგვისტო. საკდესის სპეციალური კორესპონდენტი ი. მაზორი იტყობინება: დღეს 18 სახელმწიფოს განიარაღების კომიტეტის თანათავმჯდომარეებმა — ვ. ა. ზორინმა და ა. დინმა — კომიტეტის ყველა წევრის განსახილველად წარადგინეს საყოველთაო და სრული განიარაღების შესახებ ხელშეკრულების 4 მუხლის სამუშაო პროექტი, რომელიც განსაზღვრავს განიარაღების პირველი ეტაპის ძირითად ამოცანებსა და ვალდებულებებს, აგრეთვე მათი განხორციელების ვადებს.

როგორც დოკუმენტიდან ჩანს, თანათავმჯდომარეები დათანხმდნენ, რომ პირველ ეტაპზე სახელმწიფოებმა უნდა განახორციელონ ატომური განიარაღების ღონისძიებანი, შეამცირონ თავიანთი შეიარაღებული ძალები, შექმნან განიარაღების საერთაშორისო ორგანიზაცია, მიიღონ ომის წარმოშობის საფრთხის შემცირების ღონისძიებანი, განახორციელონ საერთაშორისო მშვიდობისა და უშიშროების დაცვის ღონისძიებანი.

შეთანხმებას ამ პუნქტების შესახებ გარკვეული მნიშვნელობა აქვს. ამასთანავე, თქვა ვ. ა. ზორინმა სხდომაზე, საბჭოთა დელეგაციას საჭიროდ მიაჩნია განაცხადოს, რომ 4 მუხლის მთავარ დებულებათა გამო, რომლებიც განიარაღების პირველი ეტაპის უაღრესად დიდმნიშვნელოვან ღონისძიებებს შეეხება, არ ყოფილა მიღწეული შეთანხმება თანათავმჯდომარეებს შორის.

პირველი ეტაპის მთავარ ამოცანად საბჭოთა კავშირის მიაჩნია ატომური ომის საფრთხის აღკვეთა. ამიტომ მისი წარადგენილია მოისპოს ამ ეტაპზე ატომური იარაღის მიზანთან მიტანის ყველა საშუალება, ამასთან სავსებით შეწყდეს მისი წარმოება და ამავე დროს გაუქმდეს უცხოეთის ყველა სამხედრო ბაზა სავს ტერიტორიებზე, გაყვანილ იქნენ ამ ტერიტორიებიდან უცხოეთის მეთელი ჯარები.

„ეს, — განაცხადა ვ. ა. ზორინმა,— იქნებოდა ატომური ომის საფრთხის აღკვეთის რეალური ღონისძიებანი. ჩვენ ეტაკი არ გვეპარება, რომ ადამიანები მსოფლიოს ყველა ქვეყანაში იგრძნობდნენ დიდ შემსუბუქებას, ჩვენ რომ მივაღწიეთ შეთანხმებას ამ საფუძველზე. მაგრამ ამას ვერ მივაღწიეთ.

ვ. ა. ზორინმა ხაზგასმით აღნიშნა, რომ ამერიკის შეერთებული შტატების ასეთ პოზიციას საერთო არაფერი აქვს ნამდვილი განიარაღების ინტერესებთან.

ამერიკის შეერთებული შტატების დელეგაცია, მაგალითად, დაჟინებით მოითხოვს, „რომ ხელშეკრულების 4 მუხლის ტექსტში შეიტანონ წინადადება „შეწყდეს ხლჩადი მასალების წარმოება ატომურ იარაღში გამოყენებისათვის“, თუმცა ეს სპერთოდ არ არის განიარაღების ღონისძიება. უფრო მეტიც, ასეთი ღონისძიების განხორციელება შექმნიდა მხოლოდ ილუზიას, რომ განიარაღების დარგში მაინც ხორციელდება რაღაც ღონისძიებანი, მაშინ როცა სახელმწიფოები შეინარჩუნებდნენ ატომური იარაღის მთელ თავიანთ მარაგსა და ხლჩადი მასალების არსებულ უზარმაზარ მარაგს.

ვ. ა. ზორინმა აღნიშნა აგრეთვე, რომ წარმოიშვა სერიოზული სიძნელეები განიარაღების საერთაშორისო ორგანიზაციის შექმნის შესახებ პუნქტის შეთანხმების დროს. ამ ორგანიზაციამ უნდა უზრუნველყოს განიარაღების ნაკისრი ვალდებულებათა შემოწმება. ამერიკის შეერთებული შტატების დელეგაციამ უარი თქვა შეიტანოს ტექსტში სიტყვები „განიარაღების შესახებ“. ეს, აღნიშნა ვ. ა. ზორინმა, შეიძლება გავიგოთ მხოლოდ ისე, რომ ამერიკის შეერთებულ შტატებს სურთ უზრუნველყონ თავიანთთვის შესაძლებლობა შეამოწმონ არა, მარტო განიარაღების ღონისძიებანი, არამედ რაღაც უფრო მეტი, ესე იგი მიაღწიონ კონტროლის დაწესებას განუიარაღებლად.

ვერ მოხერხდა შეთანხმება პირველი ეტაპის ვადის საკითხზეც. თუმცა სსრ კავშირმა ანგარიში გაუწია ამერიკის შეერთებულ შტატებს და დათანხმდა, რომ გაგრძელებდა მის მიერ წამოყენებულ ვადას 15 თვიდან 2 წლამდე, ამერიკის შეერთებული შტატების დელეგაცია დაჟინებით მოითხოვს სრულიად გაუმართლებელ ვადას — სამ წელიწადს.

ვ. ა. ზორინმა აღნიშნა მთელი რიგი სხვა შეუთანხმებელი პუნქტები და თქვა, რომ ორი თანათავმჯდომარის მუშაობის ასეთი შედეგები არ შეიძლება დამაიმედებელად ჩაითვალოს და რომ ასეთი მდგომარეობა იმის შედეგია, რომ საპასუხო გამოხმაურება არ გამოიწვიეს სსრ კავშირის მთავრობის ღონისძიებებმა, რომლებიც განახორციელა დასავლეთის რეალური ნაბიჯებისა.

ა. თ. დობრინინისა და დ. რასკის შეხვედრა

ვაშინგტონი, 8 აგვისტო. (საკდესი). დღეს სახელმწიფო დეპარტამენტში გაიმართა ამერიკის შეერთებულ შტატებში სსრ კავშირის ელჩის ა. თ. დობრინინის მორიგი შეხვედრა სახელმწიფო მდივან დ. რასკთან. შეხვედრაზე განიხილეს იმ საკითხების განხილვა, რომლებზეც მოლაპარაკება წარმოებდა ჟენევაში სსრ კავშირის საგარეო საქმეთა მინისტრ ა. ა. გრომიკოსა და ამერიკის შეერთებული შტატების სახელმწიფო მდივან დ. რასკს შორის.

ტელეგრაფი გვაცნობებს

□ ნიუ-იორკი, 8 აგვისტო. (საკდესი). გენერალ-ლეიტენანტმა ფედერიკო ტორანსო მონტეროომ გამოაცხადა თავი არგენტინის არმიის მთავარსარდლად, შექმნა „აჯანყებულთა მთავარი ბინა“ უუეუის პროვინციაში (ირდილოეთი არგენტინა) და მოითხოვა არმიის სახელმწიფო მდივნის გენერალ ხუან ბაუტისტ ლოსას გადადგომა, იუწყება ასოშიეიტედ პრესის საგენტოს კორესპონდენტი ბუენოს-აირესიდან.

მას შემდეგ, რაც ბუენოს-აირესში ცნობილი გახდა მონტეროს ამბოხება, წერს კორესპონდენტი, გენერალმა ლოსამ გადაიყვანა არმიის მთელი რიგი უმაღლესი ოფიცრები, რომლებიც მხარს უჭერდნენ მონტეროს და მიიღო ღონისძიებანი ამბოხების ჩასახშობად.

□ ბეირუთი, 8 აგვისტო. (საკდესი). იემენის პრესამ გამოაცხადა, რომ მთავრობა უარყოფს ადენის გაზეთებში დაბეჭდილ ცნობებს, თითქოს იემენისა და ამერიკის შეერთებული შტატების მთავრობათა შორის მიმდინარეობდეს მოლაპარაკება ამერიკის სამხედრო ბაზის შექმნის შესახებ იემენში.

იემენის მთავრობა კატეგორიულად უარყოფს ამ ცნობებს და აცხადებს, რომ ასეთი „მოლაპარაკება“ არსებობს მხოლოდ იმათ წარმოდგენაში, ვინც ავრცელებს ხმებს ამის შესახებ.

იემენი, ნათქვამია მთავრობის განცხადებაში, მტკიცედ დგას და იდგება პოზიტიური ნეიტრალიტეტისა და რაიმე ბანაკთან მიუმხრობლობის პოზიციაზე.

□ ჰაიდელბერგი, 8 აგვისტო. (საკდესი). გერმანიაში საბჭოთა ჯარების ჯგუფის მთავარსარდალი არმიის გენერალი ი. ი. იაკუბოვსკი ევროპაში ამერიკის შეერთებული შტატების შეიარაღებული ძალების უმაღლესი მთავარსარდლის გენერალ ფრანფრის მიწვევით დღეს ოფიციალურ ვიზიტად იყო ამერიკის ჯარების მთავარ ბინაში ჰაიდელბერგში.

საბჭოთა გენერალსა და მის თანმხლებ პირებს ამერიკის შეერთებული შტატების არმიის მთავარ ბინაში შეხვდნენ მთელი სამხედრო პატივით. ქვემეხთა მისასალმებელი სალუტის შემდეგ ამერიკის სამხედრო ორკესტრმა შესასრულა საბჭოთა კავშირისა და ამერიკის შეერთებული შტატების სახელმწიფო ჰიმნები.

გენერალ ი. ი. იაკუბოვსკისა და მისი თანმხლები პირების შესახვედრად ჩამწკრივებული იყო საპატიო ყარაული. საბჭოთა ჯარების ჯგუფის მთავარსარდალმა შეკრიბა ამერიკელი ოფიცრებისა და ჯარისაკაცების წინაშე მოკლე სიტყვა წარმოთქვა.

საბჭოთა კავშირისა და ამერიკის არმიების წარმომადგენელთა შეხვედრამ, არმიებისა, რომლებიც ერთად იბრძოდნენ ომში ჰიტლერული გერმანიის წინააღმდეგ, დიდი ინტერესი გამოიწვია გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკის პოლიტიკურ- და საზოგადოებრივ წრეებში.

„ამინის გაქცევა“

თეირანი, 8 აგვისტო. (საკდესი). გაზეთი „ათენი“, კომენტარს უკეთებს რა ამინის უეცარ გამგზავრებას ევროპაში, სტატიაში, რომელის სათაურია „ამინის გაქცევა“, ხაზგასმით აღნიშნავს, რომ ყოფილმა პრემიერ-მინისტრმა თავისი ქვეყნიდან გაქცევისას მიიღო სიფრთხილის ყველა ღონისძიება, რომ „თავი დაეღწია თავის მრავალრიცხოვან თაყვანისმცემლებთან შეხვედრისაგან“.

უპასუხებს რა კითხვაზე, თუ რა ხსოვნა დატოვა დოქტორმა ამინმ თავის შესახებ, გაზეთი „დიპლომატი“ აღნიშნავს, რომ გადადგომამდე ერთი თვით ადრე ამინმ ამერიკელი მეგობრებისაგან შეიძინა სამარაკანდი სატელეფონო საუბრების მოსასმენად და პირადად თვითონ უსმენდა პრემიერ მინისტრის პოსტზე შესაძლო პრეტენდენტების საუბარს. მაგრამ ამერიკელი მეგობრების ხელშეწყობა ვერ დაეხმარა ამინის დარჩენილიყო თავის პოსტზე.

გენერალ ი. ი. იაკუბოვსკის ვიზიტი ჰაიდელბერგში

„ყველა საშუალება კარგია...“

ტერორისტებს — სიკვდილი

ლონდონი, 8 აგვისტო. (საკდესი). როგორც რეიტერის სააგენტოს კორესპონდენტი ჯაკარტიდან იუწყება, ჯაკარტის სამხედრო სასამართლომ დღეს სასიკვდილო განაჩენი გამოუტანა სამ ტერორისტს, რომლებიც მონაწილეობდნენ ინდონეზიის რესპუბლიკის პრეზიდენტ სუკარნოზე თავდასხმაში მიმდინარე წლის მაისში.

,,ავანგარდი“ ადგილს იცვლის

ბუენოს ხარკოვში შედგა ჩვენი ქვეყნის პირველობის გათამაშების მორიგი შეხვედრა ფეხბურთში „ა“ კლასის გუნდებისათვის. თამაშობდნენ ბაქოს „ნეფტჩანიკისა“ და ხარკოვის „ავანგარდის“ გუნდები. მატჩის შედეგია 3:0 „ავანგარდის“ სასარგებლოდ. ამ მოგებით ხარკოველებმა უკანასკნელი მეთორმეტე ადგილიდან მეცხრეზე გადაინაცვლეს.

„ოლიმპიკის“ დამარცხება ლენინგრადში

საბჭოთა კავშირს ეწვია საფრანგეთის საკლუბო გუნდი „ოლიმპიკი“. პირველი საერთაშორისო შეხვედრა სტუმრებმა გამართეს გუშინ ლენინგრადში „ზენიტის“ წინააღმდეგ და დამარცხდნენ ანგარიშით 1:2.

ოლიმპიადის ფურცელი

ლიდერია საბჭოთა ველოსიპედისტი

კანადაში გრძელდება „სან ლორენტის“ მრავალდღიანი ველოსიპედი.

უკვე გავლილია ცხრა ეტაპი. შეჯიბრებაში წარმატებით გამოდიან სსრ კავშირის სპორტსმენები. მაგალითად, საბჭოთა ველოსიპედისტი ა. პეტროვი პირველობას არავის უთმობს და კვლავ ინარჩუნებს ლიდერობას.

მეცხრე ეტაპი ყველაზე მომქანცველი იყო. დისტანცია — 200 კილომეტრი. განსაკუთრებით დაძაბული იყო ბრძოლა ფინიშთან, სადაც უძლიერესი აღმოჩნდა ავსტრიის წარმომადგენელი. ფრანკ გერჰარდი. მეორე და მესამე ადგილები დაიკავეს სსრ კავშირის ველოსიპედისტებმა პეტროვმა და საიფუტდინმა.

პიკი „სსრ კავშირის კოსმონავტები“

ტაშკენტი, 7 აგვისტო. (საკდესი). ტაშკენტელმა ალპინისტებმა რაიპ მამბეტოვმა და ვიაჩესლავ ბუბაევმა დაიპყრეს თურქესტანის ქედზე ექვსი ათას მეტრ სიმაღლეზე მდებარე უსახელო პიკი. პირველ ამსვლელთა უფლებით მათ უწოდეს პიკს „სსრ კავშირის კოსმონავტები“.

გზად ალპინისტებმა დაიპყრეს აგრეთვე ზერავშანის ქედის მწვერვალი (4682 მეტრ სიმაღლეზე) და უწოდეს მას „საქსპედიციო“.

„ავანგარდი“ ადგილს იცვლის

„ოლიმპიკის“ დამარცხება ლენინგრადში

ა. თ. დობრინინისა და დ. რასკის შეხვედრა

სექტის მეთაურები —პასუხისგებაში

ქრიფოი როგი, 8 აგვისტო. (საკდესი). კრიფოი როგის მცხოვრებლებმა აღმოფოთები შეტეხეს, თუ რა დანაშაულებრივ საქმიანობას ეწეოდა ორმოცდაათიანელთა სექტა. როდესაც მათ ქალაქში მოქმედებდა. სექტაში ხშირად ეწყობოდა ლოცვა, რის შედეგადაც მორწმუნეთ ძლიერ შეერყათ ნერვები. ფსიქიატრიულ საავადმყოფოში ახლა არიან დასასრულისი 40 წლის ტ. კრიქანი, საგარეუბნო საბჭოთა მეურნეობის მუშა ვ. ლიტვინჩუკი და სხვები.

ორმოცდაათიანელი მ. პრიდატკოვად გახდა. ექიმის ნაცვლად „სულიერმა ძმებმა“ პარაკლისი გადაუხადეს მას. ავადმყოფს ჯანმრთელობა დღითიდღე უარესდებოდა. როცა პრიდატკოს ნათესავებმა აკრძალეა დაარღვიეს და ექიმს დაუძახეს, გვიანღა იყო.

მაღაროელთა ქალაქის მცხოვრებლები კიდევ უფრო აღაშფოთა სკრეპერისტ ვ. შავლუკის ტრაგიკულმა შემთხვევამ. მას ცოლად ჰყავდა სექტანტის 70 წლის მომხვეპი მოხუცის ს. გონჩარენკოს ქალიშვილი. გონჩარენკოს არა ერთხელ შეუთავაზებია სიძისათვის სექტაში შესვლა, მაგრამ ყოველთვის კატეგორიული უარი მიუღია. მაშინ გონჩარენკომ წაიკეზა თავისი ქალიშვილი ქმართან საჩხუბრად. საქმე იქამდე მივიდა, რომ ერთხელ მოხუცმა და მისმა ვაჟმა მხეცურად მოკლეს შავლუკი. მამა-შვილ გონჩარენკოთა საქმეს ახლა იძიებენ.

ამ და ბევრმა სხვა ფაქტმა აღაშფოთა კრიფოი როგის მცხოვრებლები. მოიწვიეს ქალაქის მშრომელთა წარმომადგენლების კრება. კრების მონაწილეებმა მიიღეს დადგენილება—ეთხოვოს პროკურატურის ორგანოებს სისხლის სამართლის პასუხისგებაში მისცენ ორმოცდაათიანელთა სექტის ხელმძღვანელები ანტისაზოგადოებრივი საქმიანობისათვის.

ლანი. კოპენჰაგენში ლანგელინიენის სანაპიროზე შეიკრიბნენ დედაქალაქის მცხოვრებნი. მათ მოჰქონდათ პლაკატები, რომლებითაც გამოთქვამდნენ პროტესტს დაუპატიჟებელი სტუმრების — დასავლეთ გერმანიის ესკადრის ხომალდების ოფიციალური ვიზიტით ჩასვლის წინააღმდეგ.

ფოტო პოლფოტო-საკდესისა (მიღებულია ფოტოტელეგრაფით).

მონადირეთა საყურადღებოდ!

ნადირობის ვადები და წესები 1962-63 წლის სანადირო სეზონისათვის

ნადირობა ნებადართულია:

ხუთშაბათობით, შაბათობით და კვირაობით

მწყერზე, კრონშნეპზე, ქედანზე, გვიძინზე, გვრიტზე, ვეფან მტრედზე, მელოტაზე, ჯობის ქათამზე, ღალაზე და იმ ნადირსა და ფრინველზე, რომლებიც ამ განცხადებაში არ არის ჩამოთვლილი, — 12 აგვისტოდან 1 მარტამდე.

ტყის ქათამზე — აღმოსავლეთ საქართველოში 1 სექტემბრიდან 1 დეკემბრამდე და 15 მარტიდან 15 აპრილამდე, ხოლო დასავლეთ საქართველოში 15 ოქტომბრიდან 31 იანვრამდე და 1-დან 30 აპრილამდე.

ჰოვლოსა და ჩიბუხაზე (დუპელი და ბეკასი) — 1 სექტემბრიდან 15 ნოემბრამდე და 15 აპრილიდან 31 მაისამდე.

წყალზე მცურავ ფრინველებზე (ბატი, იხვი) — 15 ნოემბრიდან 1 მარტამდე, ხოლო ახალქალაქის, ბოგდანოვკის და წალკის მაღალმთიან რაიონებში 12 აგვისტოდან 1 მარტამდე.

კვერნაზე — 1 დეკემბრიდან 1 მარტამდე.

ალტაის და ტელეუტის ციყვზე — 15 ნოემბრიდან 1 მარტამდე.

სარსარაკსა და სავათზე — 1 დეკემბრიდან 1 მარტამდე.

ყველა მავნე მტაცებელ ნადირზე (მგელი, ფოცხვერი, აფთარი, დათვი, ტურა, გარეული კატა, მელა, ენოტისებური ძაღლი, მაჩვი, ჭრელყავა) **და მავნე მტაცებელ ფრინველებზე** — მთელი სანადირო სეზონის განმავლობაში, ხოლო 1 მარტიდან 15 აგვისტამდე წერილობითი ნებართვით.

ერთ ნადირობაზე, რამდენ დღესაც უნდა გრძელდებოდეს იგი, ერთ მონადირეს ნება ეძლევა მოიპოვოს; წყალზე მცურავი ყველასახის ფრინველი — არაუმეტეს 10 ცალისა, სარსარაკი არაუმეტეს 10 ცალისა. სავათი არაუმეტეს 2 ცალისა, მწყერი არაუმეტეს 30 ცალისა, ჰოვლოი არაუმეტეს 15 ცალისა, ტყის ქათამი არაუმეტეს 10 ცალისა.



ნადირობა აკრძალულია: ირემზე, შველზე, ჯიხვზე, არჩვზე, ნიამორზე, ჯეირანზე, გარეულ ღორზე, კუოდღელზე, ნეტრიაზე, წავზე, დედოფალზე, ხოხობზე, დურაჯზე, გნოლზე, კაკაბზე, შურთხზე, როჭოზე, თეთრ ყანჩაზე, გედზე, თეთრ და შავ ყარყატზე, კოდალაზე, გუგულზე და ყველა მგალობელ ფრინველზე.

აკრძალულია ყოველგვარი ნადირობა სახელმწიფო ნაკრძალებში, გარდაბნის სახელმწიფო სატყეო-სამონადირეო მეურნეობის, „ყორეღლის“ საცდელ-საჰვენებელი სანადირო მეურნეობის (საგარეჯო) და კოლხიდის საცდელ-საჰვენებელი სანადირო მეურნეობის (ხობი) ტერიტორიაზე და ორი კილომეტრის ზონაში ამ მეურნეობათა გარშემო.

ნადირობა აკრძალულია აგრეთვე ალაზანდარა-იორის სახელმწიფო სანადირო აღკვეთილში სოფელ დუზაგრამდან აზერბაიჯანის საზღვრამდე ორი კილომეტრის ზონაში მდინარე იორის ორივე მხარის გაყოლებით და ყველა სანადირო ტყეკვეთილის ტერიტორიაზე, რომლებიც ჩამოყალიბებულია მშრომელთა დეპუტატების რაიონსაბჭოების აღმასკომების გადაწყვეტილებებით.

აჭარის ასსრ ტერიტორიაზე აკრძალულია ყოველგვარი საგაზაფხულო ნადირობა, ხოლო დმანისის რაიონის მთელ ტერიტორიაზე აკრძალულია ყოველგვარი ნადირობა მთელი წლის განმავლობაში.

მიწერილი სანადირო მეურნეობების ტერიტორიაზე სანადიროდ დაიშვებიან იმ მონადირეთა საზოგადოებების წევრები, რომლებზეც მიწერილია ეს მეურნეობა, სხვა მონადირეები კი მხოლოდ მეურნეობების მფლობელთა ნებართვით.

დანარჩენ ადგილებში ნადირობა ნებადართულია სანადირო ბილეთის მქონე ყველა მონადირისათვის, ნადირობის ვადებისა და წესების დაცვით.

აკრძალულია ყოველგვარი ნანადირევი პროდუქციის გაყიდვა ხელზე. ნანადირევის შესყიდვასა და გაესაღებას აწარმოებენ მონადირეთა საზოგადოებების მაღაზიები და დამამზადებელი ორგანიზაციები.

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოსთან არსებული სატყეო და სამონადირეო მეურნეობის მთავარი სამმართველო.

საქართველოს რუსთაველის სახელობის სახელმწიფო თეატრალური ინსტიტუტი

აწარმოებს მიღებას თეატრმცოდნეობის ფაკულტეტის დაუსწრებელ განყოფილებაზე.

თეატრმცოდნეობის ფაკულტეტზე შემსვლელნი ამბარებენ გამოცდებს სპეციალობაში: ა) გასაუბრება, რომელიც გამოამჟღავნებს ინსტიტუტში შემსვლელის საერთო კულტურულ დონეს, ქართულ, რუსული და უცხოეთის თეატრების ისტორიის ძირითადი ეტაპების, კლასიკური და თანამედროვე რეპერტუარის ცოდნას; ამიტომ ინტერვიუ ერ ერ ... ...